# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 18 აპრილი 2007 №85 (3008) ფასი 50 თეთრი




# ადამიანური მომენტი

## ფეხბურთი მარტო საჩიფათო მომენტები არ არის



# აწმყო, შობილი წარსულისაგან

შეგიძლიათ, მოემზადოთ: 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე შარშანდელი ფინალი იქნება: „ამერი" — „ზესტაფონი". გუშინდელი სათასო ნახევარფინალების პირველი მატჩები ისე დასრულდა, „ჯერ გადახტი და ჰოპ მერე დაიძახე" აღარ გამოგვადგება — „ზესტაფონი" „ბათუმს" 4:0, „ამერი" კი „სიონს" 3:0 გაუსწორდა.

და... კახა ცხადაძე „სიონის" მწვრთნელი აღარაა.

...გლდანურმა მარცხმა მწვრთნელის მოთმინება გამოლია: ნამატჩევ პრესკონფერენციაზე ცხადაძემ განაცხადა, კონკრეტულად ამ შეხვედრაში ჩემი ფეხბურთელების თამაშმა გადამაწყვეტინა, რომ „სიონი" დამეტოვებინა.



გუშინ ზესტაფონში: ბათუმის კარში გოლები წვიმდა

# გვიჭირს, გვიჭირს, გვიჭირს!

## დღეს უეფა უარესისგან საუკეთესოს კარდიფში აარჩევს

დღეს კარდიფში ევრო 2012-ის მასპინძელს დაასახელებენ. კანდიდატი სამია: იტალია, უნგრეთი-ხორვატია და პოლონეთი-უკრაინა. ფავორიტი იტალიაა, მაგრამ კატანიაში მომხდარმა მკვლელობამ და სტადიონებზე გახშირებულმა უწესრიგობამ აპენინელთა შანსები ერთობ შეარყია.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის კომისიონერი ლუკა პანკალი მაინც იმედიანადაა:

„ოპტიმისტურად ვარ განწყობილი მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში ჩვენს სტადიონებზე ხულიგნობა გახშირდა. ეს მხოლოდ იტალიაში არ ხდება და მთელი მსოფლიოს პრობლემაა. ქვეყნის მთავრობამ და ოლიმპიურმა კომიტეტმა მკაცრი ზომები მიიღეს უწესრიგობის აღსაკვეთად და ეს ყველას გვაიმედებს."

პრობლემები აქვთ პოლონეთ-უკრაინასაც. უკრაინაში პოლიტიკური კრიზისია, პოლონეთის ფეხბურთის ფედერაცია კი ახლახან ამოძვრა კორუფციული ჭაობიდან.

„კიევში დატრიალებული ამბები ჩვენს წისქვილზე წყალს არ ასხამს, მაგრამ საპანიკო არაფერია. დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება და ყველაფერი კალაპოტში ჩადგება — განაცხადა პოლონეთის სპორტის მინისტრმა ტომაშ ლიპიეცმა — იტალიაც და უნგრეთიც ვერ დაიკვეხნიან პოლიტიკური სტაბილურობით, ხორვატიაში კი სტადიონებზე უსაფრთხოება სათანადოდ არ არის დაცული."

„დარწმუნებული ვარ, ჩვენი კანდიდატურა საუკეთესოა სამეულში — სხვებმა თუ ერთი-ორ ფურცელზე დაწერილი პროექტი მიიტანეს, ჩვენ ათასგვერდიანი ჩავაბარეთ უეფას" — თქვა ხორვატიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ზლატკო მარკოვიჩმა.

### ინგლისი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩები
არსენალი 3:1 მანჩესტერ სიტი
მანჩესტერი 2:0 შეფილდი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩები
ბარნლი 3:0 ნორვიჩი
ლესტერი 1:2 ბირმინგემი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები
ბარტონი 1:0 ჰალიფაქსი
კიდერმინსტერი 0:0 ალდერშოტი
სტაფორდი 2:0 ნორსვიჩი
სტივენიჯი 1:0 რაშდენი

### შოტლანდია
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
კლაიდი 0:1 სენტ ჯონსტონი

### გერმანია
ჩრდილოეთ
რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
ემდენი 2:1 უნიონი

თასის ნახევარფინალი
ნიურნბერგი 4:0 აინტრახტი

### შვეიცარია
სუპერლიგა
XXVIII ტური
სენტ გალენი 0:0 ბაზელი

### იტალია
სერია B
გადადებული
XXII ტური
ალბინოლეფე 0:0 ლეჩე
ბარი 2:1 კროტონე
ბოლონია 2:1 პესკარა
ფროზინონე 2:0 ტრიესტინა
ჯენოა 2:0 ვიჩენცა
პიაჩენცა 1:2 ბრეშა
ტრევიზო 0:3 ნაპოლი
ვერონა 1:1 მოდენა
იუვენტუსი 0:0 რიმინი
მანტოვა 1:1 არეცო

### საფრანგეთი
მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
გრენობლი 1:1 სტრასბური

თასის ნახევარფინალი
მონსო 0:2დ.დ. (0:0) სოშო

### შვედეთი
ალსვენსკა. II ტური
გიოტებორგი 1:2 აიკ
იორებრო 1:1 ელფსბორგი

### ავსტრია
ბუნდესლიგა
XXIX ტური
რაპიდი 2:2 მატერსბურგი

### პოლონეთი
პირველი ლიგა
გადადებული მატჩები
პლოცკი 0:3 ლეგია
კორონა 3:0 ვისლა

### ბელგია
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
ანდერლეხტი 0:1 სტანდარდი

### სლოვაკეთი
თასის
ნახევარფინალი
პირველი მატჩები
არტმედია 1:0 მორავცე
რუჟომბეროკი 0:0 სენეცი

### უნგრეთი
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
დიოშდიორი 0:1 დებრეცენი

# ვინ იქნება ნაყარი: წილი თუ მილეთი?



ბლიცკრიგი, ბლიცჭადრაკი, ბლიცინტერვიუ... თავსართი „ბლიც" გვაძლევს იმის საშუალებას, საჭიროებისამებრ გამოვიყენოთ, თუმც ბლიცსაქმეები ხანდახან უადგილო და არამყარია. თავსართი თავისებურად გამოიყენა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უფროსობამ და ბლიცარჩევნებიც დანიშნა...


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერაციის გუშინწინდელ აღმასკომზე ამ ორგანიზაციის ყრილობის თარიღზე იმსჯელეს და დაადგინეს — 13 მაისი.

16 აპრილიდან 13 მაისამდე ერთი თვეც არ არის, არადა, 13 მაისს ყრილობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი უნდა აირჩიონ. პრეზიდენტობის მსურველს ოთხი კვირა რჩება, საკუთარი თავი ოფიციალურად წარადგინოს კანდიდატად და წინასაარჩევნო კამპანია გააჩაღოს.

პრეზიდენტობის ვადის გაგრძელება სურს ნოდარ ახალკაცს, რომელიც ამავდროულად ფედერაციის აღმასკომის თავმჯდომარეცაა და რომელსაც ხშირად გაუკრიტიკებია ფედერაციის წინა ხელმძღვანელობა, თუმც ფაქტია, მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობისას არასდროს მომხდარა, ფედერაციის ყრილობა თარიღის დადგენიდან ერთ თვეში დაენიშნათ.

როგორ უნდა მოასწროს პრეზიდენტობის კანდიდატმა ოთხ კვირაში წინასაარჩევნო კამპანია?

ნუთუ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ისეთი უმნიშვნელოა, რომ წინასაარჩევნო პროცესმა ოდენ ოთხ კვირას გასტანოს?!

რა არის ყოველივე ამის თავი და თავი?

ალბათ, არ არსებობს კითხვა, რომელსაც რაიმე პასუხს ვერ გამოუძებნი და ალბათ საქციელიც არ არსებობს ისეთი, რასაც ვერ გაამართლებ ან ვერ შეალამაზებ.

ახალკაცი განათლებით იურისტია და არ შეეშლებოდა, აღმასკომის გუშინწინდელი გადაწყვეტილება იურიდიულ ჩარჩოებში მოექცია — ყველაფერი ფედერაციის წესდების შესაბამისად მოხდა.

ცხადია, პრეზიდენტობის ნებისმიერ მსურველს შეეძლო ადრიანად დაეწყო ამისთვის ზრუნვა, მაგრამ ის ვერ იქნებოდა პრეზიდენტობის ოფიციალური კანდიდატი. წლევანდელი ყრილობა წინა ყრილობიდან ორ წელიწადში უნდა ჩატარებულიყო და მიახლოებითი თარიღის დადგენა შესაძლებელი იყო, მაგრამ ფედერაციამ, ფაქტობრივად, მაქსიმალურად შეუმცირა ვადა პრეზიდენტობის ოფიციალურ კანდიდატებს.

ახლა ისლაა აქტუალური, ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი. ახალკაცის ოპონენტობის მსურველი ჯერ ერთია — მამუკა კვარაცხელია, ჟორდანიასდროინდელი ფედერაციის პრესატაშე, ყოფილი ჟურნალისტი. შესაძლოა, ის ახალკაცის ერთადერთი მეტოქეც კი იყოს ფედერაციის პრეზიდენტობისთვის, რამეთუ სხვა მსურველები ჯერჯერობით ქვეყნის ხელისუფლებას შეჰყურებენ და რაღაც გარანტიის მაგვარს ითხოვენ — იმ შემთხვევაში წამოვაყენებ კანდიდატურას, თუ მხარს დამიჭერთ ან ჩემს ოპონენტს არ დაუჭერთ მხარს — ყოველივე ეს ფედერაციის შარშანდელი არჩევნების რეციდივაა, რომელიც 2005 წლის ივნისში გაიმართა.

წლევანდელი არჩევნები მართლაც განსაკუთრებული იქნება. წინასაარჩევნო აჟიოტაჟი, ფაქტობრივად, არ არის, თუ არ ჩავთვლით კვარაცხელიას რამდენიმე უწინდელ პრესკონფერენციას. თითქოს ყველა შეგუებულია იმას, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ამას ქვეყნის ხელისუფლება მოისურვებს. სად არის ის ხალხი, შარშანწინ ძალიან რომ სურდა პრეზიდენტობა და მერე ყველამ რომ მოხსნა კანდიდატურა? ნუთუ სულ დაიწრიტა პიროვნებებისგან ქართული ფეხბურთი? ნუთუ კვარაცხელიას გარდა ვერავინ გვთავაზობს ახალკაცისგან რაიმე განსხვავებულს? ნუთუ ყველას ისე ეშინია ხელისუფლების, რომ პრეზიდენტობის კანდიდატობა ვერ გაუბედავს?

ჰოდა, რაც კი მავნე ხდება, ახი ყოფილა ქართულ საფეხბურთო სამყაროზე.

ასეა თუ ისე, უნდა შევეგუოთ იმას, რომ ფედერაციის წლევანდელი არჩევნები დაჩქარებულია. აჩქარებას ზოგადად რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

ადამიანი ჩქარობს მაშინ, როცა ის მიზანმიმართულია და მისთვის დრო არ ითმენს.

ადამიანი ჩქარობს მაშინ, როცა ის ცაიტნოტშია.

ადამიანი ჩქარობს მაშინ, როცა მას რაღაცის ეშინია.

ადამიანი ჩქარობს მაშინ, როცა მას...

ყოველისამტან ქაღალდზე ბევრის დაწერა შეიძლება. მთავარი კი ალბათ ისაა, რომ ჩვენი საზოგადოების აპათიურობას ყველა ისე იყენებს, როგორც შეუძლია.

**დავით თავართქილაძე**



# სიახლე სირაძეზე: მტკივანი კოჭი და კარლსრუე

**დავით სირაძის** აუე-მ „კარლ ცაისთან" წაგებით საბოლოოდ დაკარგა ბუნდესლიგაში გადასვლის შანსი, თუმცა ქართველი ფორვარდი ერცგებირგეში ბოლო კვირებს ითვლის. სირაძეს იენელებთან ტრავმის გამო არ უთამაშია.

„ოთხშაბათს ვარჯიშზე კოჭში ჩამარტყეს და მას შემდეგ არ მივარჯიშია. საშიში თითქოს არაფერი უნდა იყოს. კოჭი დამიცხრება და გუნდთან ერთად დავიწყებ ვარჯიშს" — გვითხრა დავითმა.

რაც შეეხება კლუბის შეცვლას, ამ მხრივ კონკრეტული არაფერია, თუმც ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში ინფორმაციას წავაწყდით, სირაძით „კარლსრუეც" დაინტერესდაო. „კარსლრუე", ფაქტობრივად, გადასულია პირველ ბუნდესლიგაში — ეს ის გუნდია, რომელმაც სეზონში პირველი მარცხი სწორედ აუე-სგან იგემა და გადამწყვეტი გოლი სირაძისგან მიიღო.

„ჩემი მომავალი გუნდი მალე გაირკვევა. ვარიანტები საკმაოდ მაქვს და ჩემზეა დამოკიდებული, რომელს ავირჩევ" — გვითხრა დავითმა, რომლის გადაბირების სურვილი „კარლსრუეს" გარდა „ფრაიბურგს", „ჰანზასა" და „მაინცსაც" აქვთ.

**ილია ნანობაშვილი**

# ზარიამ ზარი ითამაშა?

**კვირას** უკრაინის ჩემპიონატში „ზარიამ" 2:1 მოუგო „კრივბასს". საინტერესო ისაა, რომ ამ მატჩზე ფსონების დადება ბევრ ევროპულ ტოტალიზატორს თამაშამდე 24 საათით ადრე აუკრძალავს. ეს უჩვეულო ამბავი არ არის: როდესაც ბუქმეკერები ხედავენ, რომ არაფრით გამორჩეულ მატჩში ერთ-ერთი გუნდის მოგებაზე საეჭვოდ დიდი თანხა შედის, ფსონების მიღებას წყვეტენ. „ზარიას" გამარჯვებაზე კი ფული ხვინჭასავით იყრებოდაო...

ჩვენთვის ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ „ზარიას" გამარჯვების გოლი ბოლო წუთზე გიორგი ჭელიძემ გაიტანა, „კრივბასში" კი ვასილ გოგიაძემ ითამაშა.

უკრაინის პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი რავილ საფიულინი ამბობს, გოლები და საგოლე მომენტები ვნახე და საეჭვო არაფერი შემინიშნავსო: „შეხვედრის მსაჯისა და დელეგატის პატაკი არ მიგვიღია, ასე რომ, ამ ეტაპზე ეჭვის არანაირი საბაბი არ გვაქვს".

ისე, ევროპულ ტოტალიზატორებში უკრაინის ჩემპიონატის მატჩებზე მაქსიმალური დასადები თანხა 500 გრივნაა, როცა სხვა ქვეყნების ჩემპიონატების თამაშებზე 10 ათასი გრივნის დადებაც შეიძლება — ამ ფაქტს უკრაინელი პრესა ხაზს უსვამს...

**ილია ნანობაშვილი**

# ტაქტიკა და ორთაბრძოლა

## სამუყაითო სამუშაო ქართველი თინეიჯერებისთვის

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები წინა კვირას დაბრუნდა პორტუგალიიდან, სადაც ოთხთა საერთაშორისო ტურნირში ითამაშა და მეორე ადგილზე გავიდა. ჩვენმა ჭაბუკებმა ჯერ პორტუგალიასთან წააგეს 0:5, მერე დანიის და პორტუგალიის რეგიონ კასტელო ბრანკოს ნაკრებებს, შესაბამისად, 3:2 და 1:0 მოუგეს.

გუშინ ფედერაციაში ვეწვიეთ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ჰერბერტ ცანკერს და მეტწილად პორტუგალიურ ამბებზე ველაპარაკეთ. მასთან საუბარში კარგად გამოჩნდა, რომ ცანკერს უწინდელზე უფრო მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს ქართული ენის ათვისებაში და იმედია, ეს ჩვენი ბიჭების გაწვრთნაშიც დაეხმარება...



— როგორ შეაფასებდით პორტუგალიურ ტურნირს?

— ეს ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო, ფეხბურთელები პირველად წავიდნენ საზღვარგარეთ და საერთაშორისო მატჩები ითამაშეს. სასტუმროში ცხოვრება, უცხო გარემო, დამოუკიდებლობა — გვინდოდა, რომ მათ ეს ეგრძნოთ. რაც შეეხება წმინდა სპორტულ ასპექტებს, ძლიერ მეტოქეებთან ვითამაშეთ, კასტელო ბრანკოს ნაკრებში სულაც 18-წლამდელები იყვნენ. ამ ფეხბურთელებზე გარკვეული შთაბეჭდილება მაშინ შემექმნა, როცა მათი გუნდში აყვანა გადავწყვიტე და მაინტერესებდა, კიდევ თუ ითამაშებდნენ შთამბეჭდავად. პირველი მატჩი პორტუგალიასთან გვქონდა და 0:5 წავაგეთ, მეტოქემ ექვსჯერ დაარტყა ჩვენს კარში და ხუთჯერ გაიტანა. ჩვენები ძალიან ნერვიულობდნენ, არ გაუმართლა მეკარესაც. ეს მატჩი, ასე ვთქვათ, თამაშით არ წაგვიგია. მერე დანიას შევხვდით. საყოველთაო აზრით, ეს ტურნირის საუკეთესო მატჩი გამოდგა. 2:2 იყო, როცა თამაშის ბოლოს პენალტი გავიტანეთ და მოვიგეთ. დანიელთა მწვრთნელმა გვითხრა, დამსახურებულად გაიმარჯვეთო. ტურნირის მესამე მატჩი უჩვეულო დროს, დილის ათის ნახევარზე ვითამაშეთ კასტელო ბრანკოს ნაკრებთან. 1:0 გავიმარჯვეთ, თუმც მინიმუმ 3:0 უნდა მოგვეგო, ბოლო მომენტში კონცენტრაცია გვაკლდა, რაზეც საგანგებოდ უნდა ვიმუშავოთ. მიზანი ტურნირში პირველი ადგილი იყო, თუმც მეორე ადგილიც არ არის ურიგო შედეგი. ამ თამაშებმა დაგვანახა, რომ სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს.

— ალბათ ისიც კარგად დაინახეთ, რა პერსპექტივა აქვს ამ გუნდს — შესაძლებელია ამ კონტინგენტით ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა?

— ჩვენი საბოლოო მიზანი ეს არის, მაგრამ არ მსურს, ძალიან შორს გავიხედო. ფინალურ ეტაპამდე ჯერ ელიტრაუნდში უნდა გავიდეთ. ბარიერები თანმიმდევრულად უნდა დავძლიოთ. პორტუგალიაში ოთხი 1992 წელს დაბადებული ფეხბურთელიც წავიყვანეთ, საერთო ჯამში ჩვენ უფროსებს ვეთამაშებოდით. ერთი სიტყვით, საქმე ეტაპობრივად უნდა გავაკეთოთ, რათა სამომავლოდ უკეთ გამოვიყურებოდეთ.

— მომდევნო შეკრება როდის გექნებათ?

— 20 აპრილიდან თბილისში შევიკრიბებით, 24 აპრილს კი საერთაშორისო ტურნირზე გავემგზავრებით და საქართველოში 1 მაისს დავბრუნდებით. ტურნირი რვაგუნდიანია. ჩვენს ჯგუფში არიან იტალია, სლოვენია და GO&GO, რომელიც ჯერ არ ვიცი, რა გუნდია. ამ ჯგუფის შეხვედრები სლოვენიაში გაიმართება. მეორე ჯგუფი — ხორვატია, ლიტვა, რუმინეთი და სერბეთი — ავსტრიაში ითამაშებს, ნახევარფინალები და ფინალი იტალიაში გაიმართება, ტურნირის ორგანიზატორებიც იტალიელები არიან. ამ ტურნირზე უკვე ექვსი 1992 წელს დაბადებული ფეხბურთელი გვეყოლება.

— სულ რამდენ ფეხბურთელს აკვირდებით?

— საქართველოში დაახლოებით 60 ფეხბურთელს ვაკვირდებით და ამ საქმეში 24 მწვრთნელი გვეხმარება. კიდევ 8 ფეხბურთელს ვაკვირდებით უცხოეთში — რუსეთში, უკრაინაში, პორტუგალიაში და გერმანიაში.

— პორტუგალიური ტურნირიდან გამომდინარე, ჩვენი ბიჭების და მათი ევროპელი თანატოლების ფუნქციურ მომზადებას როგორ შეადარებდით?

— პორტუგალიასთან და დანიასთან გამოჩნდა, რომ დიდია სხვაობა ტაქტიკაში და ორთაბრძოლებში, სისწრაფეში, ტექნიკასა და ინდივიდუალიზმში კი სხვაობა ძალიან მცირეა. მოკლედ, ჩვენს ფეხბურთელებს ზედმიწევნით სჭირდებათ იმ მწვრთნელების ხელი, რომლებთანაც ისინი კლუბებში არიან. აქ მარტო ზემოხსენებულ 24 მწვრთნელს არ ვგულისხმობ. რასაც პორტუგალიაში მივაღწიეთ, ეს მხოლოდ ჩემი, ჩემი თანაშემწე ლევან ხომერიკის და გუნდის სხვა ოფიციალური მწვრთნელების კი არა, ეს ყველა მწვრთნელის დამსახურებაა.

— უკვე ჩამოყალიბდა გუნდის ბირთვი, 5-6 ფეხბურთელი, რომელთა ირგვლივ შეიკვრება ის გუნდი, რომლითაც შემოდგომაზე ევროშესარჩევში ითამაშებთ?

— 5-6 ასეთი ფეხბურთელი უკვე გვყავს, მაგრამ გუნდი 18 საუკეთესო ფეხბურთელისგან შედგება, რომელთა შორის, ფაქტობრივად, არ უნდა არსებობდნენ ძლიერები და სუსტები. უკვე დიდი კონკურენციაა და სულ ასე უნდა იყოს. ნაკრების კანდიდატებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ხელს ვერავინ შეუწყობს, მხოლოდ თავისით უნდა მიაღწიონ მიზანს, ვერავინ დაეხმარება საკუთარი თავის გარდა. ეს არის სამუშაო და ყველაფერს მუყაითი შრომა გადაწყვეტს.

**დავით თავართქილაძე**
**ნინო სილაგაძე**

# კანდელაკი ალტმანის პრინციპებს ეწირება

## ოდესა მინდა, მაგრამ თამაშიც მინდა



**რაც უკრაინის** ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყო, ილია კანდელაკი ოდესის „ჩერნომორეცის" ძირითადში თითქმის არ გამოჩენილა, არადა, 24 წლის ქართველი ერთი წელი ოდესელთა ერთ-ერთი წამყვანი მცველი გახლდათ.

„ჩერნომორეცის" სათადარიგოთა სკამზე ჯდომამ კი კანდელაკს საქართველოს ნაკრებშიც დააკარგვინა ადგილი — შოტლანდიასთან და ფარერებთან მატჩებისთვის კლაუს ტოპმიოლერმა იგი არ გამოიძახა.

„ფორმაში არ ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი. პირველ წრეში და წინა სეზონშიც „ჩერნომორეცის" ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ მქონია, ახლა კი თამაში მენატრება. ამ პერიოდში მიკროტრავმები მქონდა, თუმც ისეთი არაფერი, თამაშში ხელი შემშლოდა. მწვრთნელ სემიონ ალტმანს თავისი პრინციპები აქვს და სულ ეგაა მიზეზი" — გვითხრა კანდელაკმა.

ორი თვის წინ ოდესურმა კლუბმა ორი ქართველი, კახა მჟავანაძე და გიორგი შაშიაშვილი მოულოდნელად გაუშვა გუნდიდან. შაშიაშვილი თბილისის „დინამოშია", მჟავანაძე კი „ანჟიში" გაანათხოვრეს, თუმც კახა ოდესაშია და რუსეთის ვიზას ელის.

რატომ მოიძულა ალტმანმა ქართველები? კანდელაკმა გვითხრა, მწვრთნელს ვერ ვატყობ, რომ ქართველებზე გართულება ჰქონდეს, პირადად მე მსგავსი არაფერი მიგრძვნიაო.

„წელიწადნახევარი დამრჩა „ჩერნომორეცთან" კონტრაქტი და ჩემი სურვილი გუნდში დარჩენაა, მაგრამ უთამაშებლობა ხელს არ მაძლევს და თუ ასე გაგრძელდა, სხვა კლუბს მივმართავ. კონკრეტული ვარიანტები არ მაქვს, თუმც ახლა ჩემპიონატი მიმდინარეობს, სეზონის დამთავრების შემდეგ კი რაღაც გამოჩნდება".

ჩვენი მხრივ კი შევიტყვეთ, რომ შესაძლოა, „ჩერნომორეცს" მალე მწვრთნელი შეუცვალონ. ქართველების იგნორირებამ სემიონ ალტმანის გუნდს კარგი ვერაფერი მოუტანა — ოდესელები შარშან მესამეზე გავიდნენ უკრაინაში, ახლა კი მეათეზე არიან და ბოლო ტურებში განსაკუთრებით ცუდი შედეგები აქვთ.

**ილია ნანოგაშვილი**



**იენის** „კარლ ცაისმა" ახალი მწვრთნელის, ფრანკ ნოიბარტის ხელში პირველივე მატჩი მოიგო. გიორგი ლომაიასა და მიხეილ აშვეთიას გუნდმა დავით სირაძის აუე 2:1 დაამარცხა. მართალია, ამ გამარჯვებით იენელებმა სატურნირო მდგომარეობა დროებით გამოიკეთეს, მაგრამ ჯერაც სახიფათო ზონაში არიან და მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნა ემუქრებათ.

აუეს-თან ქართველთაგან მხოლოდ ლომაიამ ითამაშა და „კიკერისგან" კარგი შეფასებაც მიიღო. ის ერთადერთი ბურთი გიორგის თანაგუნდელმა ფიეტე სიკორამ გაუტანა.

აშვეთიასა და სირაძეს კი ტრავმები აწუხებთ. თითქოს უმნიშვნელო იყო აშვეთიას ტრავმა, მაგრამ

# აშვეთიას ვარჯიში შეაწყვეტინეს

ამ საქართველოს ნაკრების ფორვარდს გუშინ რომ შევეხმიანეთ, ეს გვითხრა:

— ორი დღის წინ ვარჯიში რომ განვაახლე, ტკივილი ისევ ვიგრძენი და ექიმების რჩევით დავისვენე. ახლა მკურნალობის კურსს ვაგრძელებ. უახლოესი მატჩი „ფრაიბურგთან" გვაქვს და ალბათ ვერ ვითამაშებ, შემდეგ კი „დუისბურგს" ვეთამაშებით და იმ შეხვედრისთვის ჯანზე უნდა ვიყო.

— აუესთან საჭირო სამი ქულა შეიმატეთ, მაგრამ ისევ საშიშ ზონაში ხართ, უახლოესი მატჩები კი ლიდერებთან გაქვთ...

— „ფრაიბურგს" სტუმრად ვეთამაშებით და ქულაც თუ ავიღეთ, კმაყოფილები უნდა ვიყოთ, „დუისბურგს" კი ვმასპინძლობთ და აუცილებლად უნდა მოვუგოთ. ამით ჩვენს ფრაიბურგელებსაც დავეხმარებით.

— **ახალი მწვრთნელი განსხვავებული ტაქტიკით თამაშობს?**

— არა, სათამაშო სქემა იგივეა. ერთი შეხედვით, მწვრთნელიც კარგი ჩანს. ვფიქრობ, ლიგაში დავრჩებით, თუმც დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ნახევარფინალი. პირველი მატჩი

www.pfl.ge



გრიგოლ დოლიძის გოლი მარტო სწრაფი კი არა, მკვლელიც იყო

გაიოზ [illegible] ფოტო

# ამერმა საქმე შუა გზაში დაამთავრა
## სიონს უმაღლესი ლიგა დარჩა

თბილისი. 17 აპრილი. 16.10 საათი. ამერი. 1 000 მაყურებელი

### ამერი 3:0 სიონი

| | |
|---|---|
| 1:0 დოლიძე (6), 2:0, 3:0 წინამძღვრიშვილი (46, 60პ) | |
| ამერი: ქვაჩახია, ელბაქიძე, დავითნიძე, დიდავა, ჩიკვილაძე, დობროვოლსკი, ს. დავითაშვილი, დეკანოსიძე, რ. წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 67), ბოლქვაძე (ჯელაძე 41), დოლიძე (დ. მჭედლიშვილი 86) სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი; გაბისკირია, ჩიმაკაძე, ხვადაგიანი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | სიონი: მამალაძე, ორბელაძე, სილაგაძე (ლ. ბაჯელიძე 30), ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი, ექონია, კორღალიძე, სანიკიძე, ბაბუნაშვილი, ვ. დარასელია, ჩასემი (ბ. ცხადაძე 62) სათადარიგონი: გაგაშელი; გ. უგრეხელიძე, კობაური, ფრიდოლინი მწვრთნელი: კახა ცხადაძე |
| გაფრთხილება: დიდავა (73) | |
| მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე; ა. ნონიკაშვილი | |
| დამკვირვებელი: ნ. კაკულია; დელეგატი: პ. ბურჯალიანი | |

**კობა ინასარიძე**

ბოლნისის „სიონის" მწვრთნელმა კახა ცხადაძემ თავისიანების უსუსური თამაში ვერ იგუა და ნამატჩევ პრესკონფერენციაზე გუნდიდან წასვლის თაობაზეც განაცხადა...

აი, ასეთი მოულოდნელობით დამთავრდა გუშინდელი ნახევარფინალი, რომლის ანგარიშმაც, რაიმე სენსაციური თუ არ მოხდა, ფინალში გაიყვანა თასის მფლობელი „ამერი", რომლისგანაც ბოლნისელთა ასეთ რბევა-დაწიოკებას ძნელად, ვინმე იფიქრებდა. მით უმეტეს, ევროსარბიელზე გასასვლელი გზა ბოლნისელთათვის წლეულს მხოლოდ თასზე გადიოდა და თანაც „სიონს" რევანში მართებდა — თასის წინა გათამაშებაშიც „ამერმა" „სიონს" ნახევარფინალში მოუგო.

...თამაში ისე დაიწყო, გუნდების შემადგენლობებში რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე არ ყოფილა. ერთი ის გვეუცნაურა, ცხადაძემ ცენტრალური მცველი ფრიდოლინი სათადარიგოდ რომ მოიტოვა და დაცვის შუაში ლაშა ჭელიძე-სერგო ორბელაძის დუეტი ათამაშა. თავდასხმაში „სიონს" ეული ჩასემი ჰყავდა, ვინც ბურთს სულ ერთიორჯერ შეეხო და ცხადაძემ მეორე ტაიმში თავისი ვაჟით შეცვალა. სწორედ ბაჩანა ცხადაძეს მატჩის ბოლოს ხელსაყრელი მომენტი რომ გამოეყენებინა, ვინძლო, მამამისს გუნდიდან წასვლა გადაეფიქრებინა — სათასო მატჩებში ხომ 3:0-ს და 3:1-ს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა.

თასის პირველ, სტუმრად მატჩში ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით თამაში ჩვეულებრივი ამბავია. მით უმეტეს, როცა ამ თავდამსხმელის უკან ისეთი დამრტყმელები გყავს, როგორებიც ვიტალი დარასელია და შოთა ბაბუნაშვილი არიან. სტუმართა ასეთი განლაგების გათვალისწინებით, „ამერისთვის" მოედნის შუაში მოპოვებული უპირატესობა უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი და როგორც მერე გამოჩნდა, ეს გამოდგა კიდეც „ამერის" გამარჯვების გადამწყვეტი ფაქტორი.

ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ მოედანს დაბრუნებულმა დენის დობროვოლსკიმ და ახლახან გამოჯანმრთელებულმა გიორგი დეკანოსიძემ, ვფიქრობთ, სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარეს. დობროვოლსკიმ მეტოქის ათიდან ცხრა შეტევა ჩაშალა, ხოლო დეკანოსიძე დაახლოებით ასეთივე შეფარდებით აკეთებდა ზუსტ და გონივრულ პასებს. თანაც დეკანოსიძე დავით ბოლქვაძის შეცვლამდე მარცხენა ფლანგსაც უყურებდა და მცველ გიორგი ელბაქიძეს საქმეს უადვილებდა.

პირველი გოლიც სწორედ ბოლქვაძის პასს მოჰყვა. თუმცა იქამდე გრიგოლ დოლიძემ იყოჩაღა და მისივე წამოწყებული შეტევაც თავდვე ზუსტად დაასრულა. ასე იყო: ფლანგზე, ცენტრის ხაზთან ახლოს ამერელთა უსწრაფესმა ჰავბეკმა ბურთს ჭვინტი ჰკრა და ერთი მოძრაობით ფეხებში ჩავარდნილი ორი ბოლნისელი ჩამოიტოვა. დოლიძემ ფლანგიდან კუთხე მოჭრა და საჯარიმოში შევიდა, შემდეგ დაარტყა თუ პასს აკეთებდა, ძნელი სათქმელია, ბურთი ზურაბ მამალაძემ მოიგერია, ასხლეტილზე რატი წინამძღვრიშვილი მაკრატელათი აპირებდა დამატებას, არ გამოუვიდა. ბურთი სულიკო დავითაშვილთან აღმოჩნდა, მან ბოლქვაძეს გადააწოდა, ვინც იქვე უყურადღებოდ დატოვებული დოლიძე შენიშნა და შეტევაც მას დაამთავრებინა — მამალაძემ ახლოდან დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა.

...„ამერმა" გაიტანა და ცოტა დამშვიდდა. გოლების გარდა „ამერი" საკუთარ კარზეც ფიქრობდა, შინ მიღებული ერთი გოლი ხომ ძვირად ფასობს. ამ დროს კი მასპინძლებს გამთამაშებელი ბოლქვაძე გამოაკლდათ. მოედნის კიდეზე მას თემურ რაქვიაშვილმა გაშლილი ფეხი ბარძაყში ჩაარტყა. ექიმების ჩარევამ არ გაჭრა, ბოლქვაძე შესაცვლელი გახდა, ხოლო არბიტრმა იმ ეპიზოდში „სიონის" სასარგებლო აუტი დააფიქსირა.

გიორგი ჩიხრაძემ ბოლქვაძის ნაცვლად გიზო ჯელაძეს უხმო, შუაში დეკანოსიძე დარჩა, ჯელაძე კი ჩვეულ, მარცხენა ფლანგზე ვნახეთ. მოკლედ, „ამერსაც" და „სიონსაც" ტაიმის დამთავრებამდე მოუხდათ გადაადგილება-ცვლილებების გაკეთება. ბოლქვაძემდე შეცვლა „სიონის" ნახევარმცველმა ლევან სილაგაძემ ითხოვა, ვინც კუნთის ტკივილმა შეაწუხა.

შესვენებებამდე კი „ამერს" ორბურთიანი სხვაობის მოპოვება შეეძლო. დეკანოსიძის ჩინებული პასით დავითაშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, ამერელთა ფორვარდს ასეთი მომენტების გამოყენება არ უჭირს ხოლმე და თითქოს არც ის ეპიზოდი უნდა გაეფუჭებინა, მით უმეტეს, რომ მდევარ რაქვიაშვილს კორპუსი ჩაუდგა და ბურთს არ აკარებდა, მაგრამ შემტევმა დარტყმა ოდნავ დააყოვნა და...

შესვენებაზე ცხადაძემ კიდევ ერთი შეცვლა გააკეთა — კორღალიძეს არჩილ ალავიძე ამჯობინა. თუმცა, ვიდრე ალავიძე და სხვა ბოლნისელებიც მეორე ტაიმში ბურთს შეეხებოდნენ, დოლიძის დაწყებული რატი წინამძღვრიშვილმა გააგრძელა: რატიმ დეკანოსიძის პასი მიიღო, ოდნავ გვერდით, საჯარიმოს წიბოსკენ გაიწია და კარის შორეულ კუთხეში მამალაძისთვის აუღებელი დაარტყა — 2:0.

ბოლნისელთა შესამჩნევი გააქტიურება მეორე გოლს მოჰყვა და მალევე ბაბუნაშვილს კარგი მომენტიც გაუცუდდა, დარასელიას პასს ცაცია კი მიაყოლა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. შემდეგ კი ზურაბ ქვაჩახიამ თავად დარასელიას აუღო ჯარიმიდან დარტყმული. სხვათა შორის ვთქვათ, რომ დარასელიას ამერელებმა თავისი პლუსის გამოყენების საშუალება ბოლომდე მოუსპეს და ეს ერთიც ბოლნისელთა კაპიტანმა ჯარიმიდან დაარტყა.

ეს ორი მომენტი იყო და, „სიონს" ბაჩანა ცხადაძის მომენტამდე მასპინძელთა კართან ღირებული არაფერი შეუქმნია. გუშინ „სიონი" ძალიან პასიური, არეულდარეული ჩანდა, „ამერი" კი პირიქით იყო და დიდი ანგარიშითაც დამსახურებლად მოიგო.

მესამე გოლი ისევ წინამძღვრიშვილისა იყო, ბოლნისელებს მან ხელი პენალტით მოუთავა. ჯელაძე საჯარიმოში შეიჭრა, იქ კი ორმცველშუა წაიქცა და არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა პენალტი უყოყმანოდ დანიშნა. დანარჩენი რატიმ იცოდა, ბურთი მარცხნივ, მეკარე — მარჯვნივ, ანგარიში 3:0 და... ასეთი ანგარიშისა და კახა ცხადაძის გუნდიდან წასვლის შემდეგ, ვფიქრობთ, საპასუხო მატჩს აზრი დაეკარგა. არადა, ძალიან დაძაბული ნახევარფინალის მოლოდინი კი გვქონდა...

### პრესკონფერენცია

კახა ცხადაძე: ვულოცავ „ამერს" დამსახურებულ მოგებას. დღეს ერთ ბოლომდე მობილიზებულ, მონდომებულ, მებრძოლ და სწორი ფეხბურთის მოთამაშე გუნდს მეტოქედ უმოტივაციო, სახედაკარგული გუნდი ჰყავდა. ეს კატასტროფაა. ასე ცუდად „სიონს" ჩემ ხელში არ უთამაშია და ვფიქრობ, რომ ამ გუნდში ჩემი შესაძლებლობები ამოიწურა. „სიონიდან" წავედი, ჩემი ბოლნისური სამსახური დამთავრდა. ფეხბურთს ვაჟკაცები თამაშობენ, ვაჟკაცობა კი მხოლოდ ლაპარაკი არ არის, ერთადერთი დარასელია იყო, ვინც დღეს ბოლნისელთაგან იბრძოდა და მოგება უნდოდა. „სიონის" მწვრთნელის რანგში დღეს ჩემი ბოლო მატჩი იყო...

ვიდრე ოთახს დატოვებდა, კახა ცხადაძე მოგებულ კოლეგა გიორგი ჩიხრაძეს გადაეხვია და თბილად დაემშვიდობა...

— მხოლოდ ეს მატჩია „სიონიდან" თქვენი წასვლის მიზეზი? — ვკითხეთ კახა ცხადაძეს პრესკონფერენციის შემდეგ.

— დიახ, დღეს საშინელება იყო. ამ გუნდში აღარ ვიმუშავებ.

— თქვენს გადადგომას სხვა მიზეზი არ აქვს?

— სხვა არაფერი, მხოლოდ დღევანდელი მატჩი.

გიორგი ჩიხრაძე: სამწუხაროა, რომ კახა ცხადაძისგან ასეთი სიტყვები მოვისმინე. დღევანდელი მოგების მოლოცვისთვის მას მადლობას ვუხდი. ასევე მადლობელი ვარ „ამერის" ფეხბურთელების, მათ ბოლომდე იბრძოლეს და ასეთი ანგარიშით მოგება დაიმსახურეს. გვსურდა, საქმის ნახევარი მაინც პირველ მატჩში გაგვეკეთებინა. სამი გოლის გარდა „ამერს" სამი-ოთხი კარგი შანსიც ჰქონდა. ასეთი ანგარიშის მიუხედავად კი არ ვფიქრობ, რომ უკვე ფინალში ვართ, წინ საპასუხო მატჩია, ბრძოლა გრძელდება.

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ნახევარფინალი. პირველი მატჩი

www.pfl.ge

# ძელი, ფიფია, გოლი...

## ზესტაფონში ბრაზილიის დროშა აფრიალეს

ზესტაფონი. 17 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური (ტევადობა 10 000)

### ზესტაფონი 4:0 ბათუმი

| | |
|---|---|
| 1:0 კვასხვაძე (4), 2:0, 3:0 ფიფია (9, 20), 4:0 იონანიძე (65) | |
| ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, შ. ლონლაძე, კ. ჩხეტიანი (ბ. ნოზაძე 77), ს. თოდუა, კესანი, ვიეირა (სანაია 82), ნ. კვასხვაძე, ფიფია, იონანიძე (ტონატასი 68) სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, სანტოსი, გ. ჩხეტიანი, ბ. გოცირიძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ბათუმი: სომხიშვილი, თედორაძე, გალოგრე, უ. ლობჟანიძე, კ. შალამბერიძე (ბეჟანიძე 55), ნერგაძე, დუმბაძე, ტულუში (კუნჭულია 50), დარჩიძე, ა. ბაჯელიძე (კერესელიძე 38), ვ. კვარაცხელია სათადარიგონი: ბექთაშევი, ფარტენაძე, ბაციკაძე, მაკარიანი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |
| გაფრთხილება: დუმბაძე (10), დარჩიძე (37), საჯაია (73), კვარაცხელია (76), ვიეირა (80), ჭანტურია (84) | |
| მსაჯები: ლ. სილაგავა; ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე; ვ. ელისაბედაშვილი | |
| დამკვირვებელი: ა. დურსუნიშვი; დელეგატი: მ. ნორაკიძე | |


გოგი ფიფია გუშინაც მცველების თავსატეხი იყო

ოთარ მაღლაკელიძე ზესტაფონიდან

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში" — ამ უკვე ტრადიციული პლაკატით ხვდება ხოლმე ზესტაფონელი გულშემატკივარი სტუმარ გუნდებს, ამჯერად კი ბოლო სიტყვა ჯოჯოხეთი ფეხბურთის სამოთხით შეიცვალა. ყველაზე აქტიურ ფანებში კი „ზესტაფონის" დროშებს ბრაზილიისაც შეერია. იმერელთა სამი სამხრეთამერიკელიდან გუშინ ძირითადში მხოლოდ ვიეირამ ითამაშა. ზედიზედ მეორედ თერთმეტეულში იყო გაბონელი პოლ კესანიც: როგორც ჩანს, მან საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი ძირითადში. იგი მთელი თამაში აქტიურობდა და პირველი გოლიც სწორედ მის წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა.

ანგარიში მე-5 წუთზე გაიხსნა. გაბონელის მიერ ცენტრიდან ჩაწოდებული ბურთი ზურაბ იონანიძემ კვასხვაძეს შეაყოლა და მანაც მეკარისგან შორეულ კუთხეში გაიტანა.

სწრაფმა გოლმა მასპინძლები უფრო გაააქტიურა და ტაიმის შუაწელში სხვაობა უკვე სამბურთიანი გახდა. მე-10 წუთზე კახა ჩხეტიანის ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოს ხაზიდან ნიკა კვასხვაძემ სომხიშვილს თავით გადააველო. წინ გამოსული მეკარე ამლები აღარ იყო, ზედა ძელი რომ არ წახმარებოდა, იქედან გადმოვარდნილ ბურთს კი თავი გოგი ფიფიამ დაუხვედრა საგოლედ. მესამეც ფიფიამ შეაგდო, თანაც მსგავსი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად იონანიძის ნახევარბრუნში დარტყმული აისხლიტა ძელმა.

აჭარლები ასეთ დასაწყისს, ცხადია, არ ელოდნენ. ისე დაიბნენ, შეტევას ვინ ჩიოდა, ცენტრამდე ბურთის ატანაც კი უჭირდათ. ამირან გოგიტიძემ წინ ეულად მორბენალ ვახტანგ კვარაცხელიას ნიკა კერესელიძე შეაშველა, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. შესვენებამდე სტუმრებმა კარისკენ ერთადერთხელ დაარტყეს, ისიც ისე უზუსტოდ, ჩასანიშნადაც არ ღირდა. მასპინძელთაგან კი ერთმანეთზე უკეთესი მომენტები ორჯერ ვიეირას, ერთხელაც როინ ონიანს შეექმნათ.

მეორე ტაიმი ისევ ფეროელების გამოუყენებელი საგოლე მომენტით დაიწყო. კარიდან გამოსულმა სომხიშვილმა მუშტით უხეიროდ გამოიტანა ბურთი, ონიანმა უმალ შეაბრუნა საჯარიმოში, იონანიძის დარტყმული კი ცარიელი კარიდან ბეგლარ თედორაძემ გამოიტანა.

ეს იყო და, თამაშმა ცენტრში გადაინაცვლა. „ზესტაფონი" შეტევებით თავს აღარ იკლავდა, „ბათუმი" კი ამას ვერაფრით აზერხებდა. უინტერესო თამაში 66-ე წუთამდე გაგრძელდა. თემურ მახარაძის გუნდის პირველივე გააქტიურება კი იონანიძის გოლით დასრულდა. ზესტაფონელების ვეტერან ფორვარდს კვასხვაძემ გაატანინა საფირმო გარღვევის და ჩაწოდების შემდეგ.

ამის შემდეგ მასპინძელთა თავკაცმა კვასხვაძეს და ვიეირას ფლანგები გააცვლევინა. სულ ხუთიოდ წუთით, მაგრამ ამ წყვილმა ერთი ხეირიანი კომბინაცია ამ დროშიც მოასწრო. კვასხვაძემ უკვე მარცხნივ გაინავარდა და ბრაზილიელი მეკარეს პირისპირ შეატოვა. სომხიშვილმა წამით დაასწრო.

ბოლო ოცდახუთ წუთში შეცვლაზე შესულმა ტორესმა აგუგუნა ტრიბუნები. ჯერ იყო და, ბურთთან პირველივე შეხებისთანავე აანერვიულა სომხიშვილი, მერე კი თავად არიგა გასატანი პასები. ყველაზე რეალური შანსი მასპინძლებს თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მიეცათ. საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან ფიფიას ჩატრიალებული ბურთი ძელს მოხვდა. ფეროელთა ბომბარდირის გარდა ანგრიშის გახუთება კვასხვაძეს და კესანსაც შეეძლოთ. იაქტიურა შეცვლაზე შესულმა ამირან სანაიამაც, რომელმაც გუშინ პირველად მოირგო „ზესტაფონის" ძირითადი გუნდის ფორმა.

ნამატჩევს თემურ მახარაძემ პრესკონფერენციაზე შეღწეულ ზესტაფონელ გულშემატკივრებს გამარჯვება მიულოცა, ჟურნალისტებს კი გვითხრა, კარგია, მეორე ნახევარფინალში „ამერმა" რომ მოიგო...


ოთხგოლიან თამაშში ზურაბ იონანიძე უგოლოდ როგორ დარჩებოდა


ზესტაფონელებს თავი ქუდში ანუ ფინალში აქვთ

# არა ლოს ანჯელესში, ჩახუტება ლონდონში

**რომან აბრამოვიჩისა** და ჟოზე მაურინიუს თემის გაწყვეტა არ ეგების: იცით, რუსი მილიარდერი თავის პორტუგალიელ მწვრთნელს როდის გადაეხვია? თქვენ გგონიათ, „ჩელსიმ" „ბლექბერნს" სათასო ნახევარფინალი 2:1 რომ მოუგო, მერე? არა. რომ გაიგო, გერმანელ იურგენ კლინსმანს „ჩელსიში" წამოსვლა არ უნდაო, ამ ამბიდან ერთიორი საათის შემდეგ. სხვა საქმეა, რომ პირველი და მეორე დროში ერთმანეთს დაემთხვა...

ბუნებრივია, საჯარო გადახვევამ ხალხში ჭორი ააზვირთა, თქვეს, რომ კონფლიქტი ლონდონური კლუბის პრეზიდენტსა და მწვრთნელს შორის ამოიწურა, მაგრამ „სანის" ჟურნალისტებმა „ლურჯთა" ბანაკში მომუშავე მავან ინფორმაციის წყაროს გადაურეკეს და ასეთი რამ გაარკვიეს:

„მათი შეხვედრა უფრო შემთხვევითს ჰგავდა, ვიდრე რომანის მიერ დაგეგმილს — თქვა მავანმა და დასძინა — საინტერესოა, თუ გადაეხვეოდა აბრამოვიჩი მაურინიუს, რამდენიმე საათით ადრე კლინსმანისგან თანხმობა რომ მიეღო".

დიახ, ახლა უკვე ყველამ იცის, რომ ორიოდ დღის წინ რუსმა ოლიგარქმა ლოს ანჯელესში თავის ბანკირთა დელეგაცია გაუშვა — გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იურგენ კლინსმანი კალიფორნიის ამ ვებერთელა ქალაქში ცხოვრობს და, როგორც პაპარაცებმა ჩაავლეს, ბოლო დღეებში ყავარჯნით დადის.

აბრამოვიჩის ემისრებმა „მილჰაუს კაპიტალის" დირექტორის იუჯინ (ჩვენებურად ევგენი) ტენენბაუმის ხელმძღვანელობით, კლინსმანს მაურინიუს „ჩელსიდან" მოშორების შემდეგ საქმის გაძღოლა და წელიწადში 6,4 მილიონი გირვანქაც შესთავაზეს, რაც გვარიანი ფულია — იგივეა, რაც 12,74 მილიონი დოლარი, ანუ 9,40 მილიონი ევრო — მაგრამ მეოჯახე გერმანელმა მილიარდერის ნდობით აღჭურვილ პირთ, ალბათ, მათთვის და ვინ იცის, ბევრი სხვა ადამიანისთვისაც, გაუგებარი რამ უპასუხა — ამერიკაში ძალიან კარგად ვარ მოწყობილი, ჩემთვის მშვიდად ვცხოვრობ და ამ დალაგებული ყოფის არევა არანაირ ფულად არ მიღირსო.







თუ „სარბიელის" მკითხველთა შორის ვინმე ისეთი გამოერია, კლინსმანის ვინაობა და ასაკი რომ არ იცის, შევახსენებთ, რომ ცხოვრებით დაღლილ პენსიონერზე კი არა, 42 წლის ახალგაზრდა კაცზეა ლაპარაკი.

ამასობაში კი გაზეთ „გარდიანში" გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ „ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერი კლუბის შეფებს — უპირველეს ყოვლისა, ალბათ პრეზიდენტ აბრამოვიჩს — ემუდარება, შეცდომა არ დაუშვან და ჟოზე მაურინიუ თანამდებობიდან არ დაითხოვონ.

შევახსენებთ, „ჩელსის" დღევანდელ პოზიციას: ლონდონელებმა უკვე მოიგეს „კარლინგის" თასი, გავიდნენ ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში, პრემიერლიგაში სამად სამი ქულით ჩამორჩებიან ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს", რომელსაც 9 მაისს შინ მასპინძლობენ და გასულები არიან ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაურინიუს ხელმძღვანელობით „ლურჯებს" ჯერ კიდევ აქვთ შანსი, გაიმარჯვონ ოთხივე შეჯიბრებაში, რომელშიც ამ სეზონში მონაწილეობენ, ანუ ეგრეთწოდებული „კვადრაპლი" გააკეთონ.

„ვერ წარმომიდგენია, მაურინიუს ხელში „ჩელსის" რომელიმე ფეხბურთელი ამ ზაფხულზე სადმე წავიდეს — უპასუხა ტერიმ კითხვაზე, მაურინიუს დარჩენის შემთხვევაში აპირებს თუ არა სხვა გუნდში გადასვლას — ჟოზე ჩემს მიმართ დიდებულია და ძალიან არ მინდა, კლუბმა ის შეცდომა დაუშვას, რომელმაც, შესაძლოა, ჩემი და ფრენკ ლამპარდის გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს. მე და ფრენკს კონტრაქტები გვაქვს გასაახლებელი. თუ ჩვენ ფრენკს და ჟოზეს შევინარჩუნებთ, მომდევნო წლებში დიდ წარმატებებს მივაღწევთ. „ჩელსი" მჭიდროდ შეკრული ოჯახია და მისი დარღვევა დიდი შეცდომა იქნება. იცით, ბოლო წლებში მიღწეულ შედეგთაგან ერთ-ერთი ყველაზე დიდი კლუბში საგანგებო ატმოსფეროს შექმნა გახლავთ. დღეს დილით გაზეთებში მაურინიუსა და აბრამოვიჩის გადახვევის ამბის წაკითხვამ ყველა გაგვახარა. გიმეორებთ, ჩვენ გუნდი ვართ, როგორც მოედანზე, ასევე მოედანს გარეთ."

თუ მიაქციეთ ყურადღება, ზემოთ ნათქვამიდან გამოდის, რომ ჯონ ტერი მაურინიუს ამბავს ელის. თუ პორტუგალიელ მწვრთნელს თანამდებობაზე დატოვებენ, ისიც ლონდონში დარჩება, თუ არა და, წავა, მაგრამ კითხვა რომ შეუბრუნეს, კაპიტანმა სხვაგვარად უპასუხა:

„კონტრაქტის განახლებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები შეწყდა და ამ წუთას გაჩერებულია. მე ჩემი ნაბიჯი უკვე გადავდგი, ახლა კლუბის ჯერია, ასე რომ, ინიციატივის გამოჩენა ისევ მე არ მინდა. ჩემი მხრივ ნათქვამია, რომ კარიერის ბოლომდე „ჩელსიში" დარჩენა მსურს, დანარჩენი კი თვითონ იციან".

**ბაკურა ძიდია**

# არ გამიმანჩესტერდა საქმე?!



**ანდრეი შევჩენკოს** ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა და იქ ყოფილ გუნდთან, „მილანთან" დაპირისპირება სურს.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ „ჩელსის" ვარსკვლავი ამ შეჯიბრში „მანჩესტერ იუნაიტედთან" დაჯახებაზე არ ოცნებობს — მოგეხსენებათ, ლონდონელები და მანჩესტერელები სამ შეჯიბრებაში მონაწილეობენ (მეოთხე, „კარლინგის" თასი „ჩელსიმ" უკვე მოიგო) და ამ სამიდან ორში, პრემიერლიგასა და ასოციაციის თასზე გამარჯვებულის ვინაობა ერთმანეთში უნდა გაარკვიონ.

„ამ სეზონში ყველა ფრონტზე „მანჩესტერს" ვებრძვით. პრემიერლიგაა, ჩემპიონთა ლიგა თუ ასოციაციის თასი, მანჩესტერელები ან უკვე გვეცილებიან, ან შეიძლება შეგვეცილონ. რაც შეეხება სურვილს, თუ საქმე ამაზე მიდგა, ათენში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, მე პირადად „მილანთან" დაპირისპირებას ვისურვებდი, თუმცა ეს თამაში ამ ეტაპზე ფანტაზიის სფეროდან არის და მასზე ფიქრით თავის ატკივებას არ ვაპირებ".

მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ჩელსი" „ლივერპულს" ხვდება, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი" „მილანს".

„არანაირი შურისძიება არ მამოძრავებს და, საერთოდ, რა საჭიროა წარსულზე ამდენი ლაპარაკი?!" — თქვა 30 წლის თავდამსხმელმა, როდესაც ის დღე გაახსენეს, „მილანთან" ერთად ფინალში რომ გავიდა, სადაც „ლივერპულს" პირველი ტაიმის შემდეგ 3:0-ს უგებდა და საბოლოოდ წააგო.

„ჩემთვის მთავარი მომავალია. „ლივერპულთან" მოედანზე მოსაგებად გავალ, ოღონდ ერთი წუთით არ გამახსენდება მაშინდელი ფინალი. თამაში კი, რასაკვირველია, ძალიან ძნელი იქნება, რადგან „ლივერპული" უძლიერესი გუნდია, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში განსაკუთრებით კარგად თამაშობს".

შევახსენებთ, რომ შევჩენკოს კარიერა ლონდონურ კლუბში თავიდან ძალიან ცუდად აეწყო, მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა.

„თავიდან პრობლემები მქონდა, მაგრამ მას მერე, რაც ახალ სინამდვილეს და გარემოს შევეწყვე ყველაფერი დალაგდა. აქ, ინგლისში მეტისმეტად დაძაბული თამაშებია. გული მწყდება, ამდენი ხალხი რომ მაკრიტიკებდა. ამის შესახებ მიხაელ ბალაკსაც ველაპარაკე. როგორც ფეხბურთელი, კი ბატონო, მაკრიტიკონ, მაგრამ მე პიროვნულადაც შემეხნენ. იგივე დღემაა მიხაელი, რომელსაც თავს ისე დაესხნენ, მისი თამაშის ხარისხს არც დააკვირდნენ" — დასძინა შევჩენკომ.

**ბაკურა ძიდია**

## ლემანის აპრილი

**„არსენალი"** დარწმუნებულია, რომ იენს ლემანი ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და ბოლოს მოუღებს მითქმა-მოთქმას საკუთარ მომავალზე.

გერმანელს ორწლიანი ხელშეკრულება უნდოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი წასვლით იმუქრებოდა.

არსენ ვენგერმა განაცხადა: „ვფიქრობ, რომ მაინც დარჩება. თვითონ მითხრა ამას წინათ, რომ „არსენალში" თამაში მოსწონს. მოლაპარაკებას ვაგრძელებთ და ალბათ აპრილის ბოლოს გაირკვევა ყველაფერი".

## კოჭნატკენი კაჭკაჭი

**„ნიუკასლისა"** და ირლანდიის ნაკრების ნახევარმცველი დემიენ დაფი კოჭის ტრავმის გამო ამ სეზონში ველარ ითამაშებს. 28 წლის ფეხბურთელი „პორტსმუთთან" მატჩში დაშავდა და მოედნიდან კოჭლობით გავიდა.

„მოტეხილობა არ აქვს, მაგრამ ძალიან ღაუსივდა და ექიმმა თქვა, რომ მის მორჩენას თვეზე მეტი დასჭირდება, არადა, სწორედ ახლა შედიოდა ფორმაში. სამწუხაროდ, არ გაუმართლა" — დაიჩივლა „კაჭკაჭების" მწვრთნელმა გლენ როიდერმა.

## ანხელი ნიუ იორკიდან მოიკითხეს

**„ასტონ ვილას"** კოლუმბიელი ფორვარდი ხუან პაბლო ანხელი ნიუ იორკის „რედ ბულზში" გადადის. 31 წლის თავდამსხმელი ბირმინგემულმა კლუბმა 2001 წელს რეკორდულ ფასად, 9 მილიონ 500 ათას გირვანქად შეიძინა „რივერ პლეიტიდან", მაგრამ პრემიერლიგაში ვერ გაიბრწყინა. მას „ვილასთან" კონტრაქტი გაისად ეწურება, მაგრამ „რედ ბულზი" გამოსყიდვას აპირებს.

ამ სეზონში ანხელმა მხოლოდ შვიდი გოლი გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფერგის ფიქრები და გლეიზერები



ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ მომავალ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას არ აპირებს და ერთ-ორ მოთამაშეს თუ დაიმატებს.

ბრიტანული პრესის ცნობით, ფერგიუსონს ორი მთავარი სამიზნე ჰყავს. აქედან ერთის გამოცნობა ძნელი არ არის — „წითელ ეშმაკებს" მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველ ოუენ ჰარგრივსის ხელში ჩაგდება დიდი ხანია, უნდათ. მეორე კი „საუთჰემპტონის" მცველი გარეთ ბეილი ყოფილა.

„ამჟამად ის შემიძლია გითხრათ, რომ განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ვაპირებ. მომავალ ზაფხულს ფეხბურთელებს დავიმატებთ, მაგრამ ბევრს არა, ერთი-ორს, რომლებიც რეალურად გაგვაძლიერებენ" — თქვა შოტლანდიელმა სპეციალისტმა.

ფერგიუსონმა გლეიზერებზეც ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ, ფანების დიდი პროტესტის მიუხედავად, ამერიკელი ბიზნესმენების ოჯახმა „მანჩესტერი" 2005 წელს იყიდა და ცუდი ჯერ არაფერი გაუკეთებია, პირიქით.

„რაც გლეიზერებმა კლუბი იყიდეს, კარგი მეტი არაფერი გაუკეთებიათ. ისინი ჩვენს საქმეებში უხეშად არ ჩარეულან. მათ რამდენჯერმე შევხვდი. ცხადია, მმართველ დევიდ გილის გეიზერებთან უფრო ხშირად უწევს ურთიერთობა და ისინი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ. რამდენჯერაც შევხვდი, მითხრეს, უბრალოდ, მეცნობებინა, თუ რამე დამჭირდებოდა" — დასძინა ფერგიუსონმა.

კოკი კანდელაკი

# კარლუშ კონტრაქტუშ



ალექს ფერგიუსონის თანაშემწე კარლუშ კეიროშმა კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა, ისევე, როგორც თვითონ ფერგიუსონმა. პორტუგალიელის სამწლიანი ხელშეკრულება ამ სეზონის ბოლოს იწურებოდა და ამბობდნენ, წასვლას აპირებსო, მაგრამ გადაიფიქრა.

54 წლის კეიროში „მანჩესტერის" ფანებში არასოდეს ყოფილა პოპულარული, რადგან გუნდიდან როი კინის გაშვებას მას აბრალებენ. ახლა კი გაირკვა, რომ კრიშტიანუ რონალდუს დატოვებაზე, რომელსაც „რეალი" ექაჩებოდა, კარლუშ კეიროშმა დიდი როლი ითამაშა და კლუბმა ახალი კონტრაქტით დაუფასა.

გაგა ხუციშვილი

# პედერსენი გაგიგზდება?

„მანჩესტერ იუნაიტედი" მორტენ-გამსტ პედერსენის სანაცვლოდ „ბლექბერნს" 8 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ალექს ფერგიუსონის აზრით, 25 წლის ნორვეგიელი რაიან გიგზის პოზიციაზე ზედგამოჭრილია.

შარშან ზაფხულს პედერსენს „ტოტენჰემი" დასდევდა, მაგრამ „ბლექბერნმა" ბიჭთან კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივა და ჯამაგირი 20 ათასით გაუზარდა.

ნორვეგიელის კონტრაქტში წერია, რომ მისმა მსყიდველმა 8 მილიონი უნდა გადაიხადოს და „მანჩესტერიც" ამით სარგებლობას აპირებს.

# სტოილოვმა არ იცის

სოფიის „ლევსკის" მწვრთნელმა სტანიმირ სტოილოვმა უარყო ცნობა, ნაკრების თავკაცად მისი დანიშვნის თაობაზე.

„არ ვიცი, ელაპარაკა თუ არა ფედერაციის შეფი „ლევსკის" პატრონს, მაგრამ მე გუნდის მიტოვება არ მინდა. პირადად ჩემთან არავინ მოსულა, მაგრამ თუ ფედერაციიდან მომაკითხავენ, დავფიქრდები".

ბულგარულ მედიაში ორი დღის წინ დაწერეს, რომ სტოილოვი იქნება ნაკრების მწვრთნელი 2 და 6 ივნისს გასამართ ევროშესარჩევ მატჩებშიო და „ლევსკის" თავკაცის კომენტარიც ამას მოჰყვა.

# ბოროვსკის მესამე მუხლი

„ვერდერის" ნახევარმცველი ტიმ ბოროვსკი დაშავდა და „ესპანიოლთან" უეფას თასზე ნახევარფინალურ მატჩებს გამოტოვებს. 26 წლის ფეხბურთელს „დორტმუნდთან" შეხვედრისას მუხლი ეტკინა და მე-5 წუთზე შეცვალეს. ეს უკვე მესამე ტრავმაა ამ სეზონში — მან ოქტომბერში გააცდინა რამდენიმე მატჩი, შემდეგ თებერვალში მყესები გაუწყდა და ორი თვე ისვენებდა...

# ადვოკაატის ბრალია

„მიონხენგლადბახი" ბუნდესლიგის ფსკერზეა და ალბათ ქვედა ლიგაში ჩასვლას ვერ გადაურჩება. ამ გუნდის ყოფილმა ფეხბურთელმა, ამჟამად კი ნიგერიის ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა „გლადბახის" გაუბედურება დიკ ადვოკაატს დააბრალა: „კლუბის შეფებმა რამდენიმე წლის წინ მიჰქარეს, როცა ადვოკაატი დანიშნეს მწვრთნელად. სწორედ მან წაახდინა „გლადბახი" და ახლა შედეგებს იმკიან".

# ფრინგსის ტურინელი სტუმრები

ტორსტენ ფრინგსმა დაადასტურა, რომ ამ კვირაში ერთხელაც შეხვდება „იუვენტუსის" წარმომადგენლებს და ტურინში გადასვლის თაობაზე იმსჯელებენ. „ვერდერის" 30 წლის ნახევარმცველს კლუბთან კონტრაქტი 2008-ში ეწურება.

ბრემენელები 12 მილიონ ევროს ითხოვენ, ტურინელები კი 6-ს სთავაზობენ.

# ბენიტესი ცოლმა დააბა

ჩემპიონთა ლიგის მოგების შემთხვევაში, „ლივერპულის" მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი ოჯახს ერთი მილიონი გირვანქით გაამდიდრებს — წერს THE PEOPLE. ესპანელის წლიური ხელფასი 3 მილიონ 500 ათასია, 300 ათასს კიდევ დაუმატებენ თუ პრემიერლიგაში მესამე ადგილზე გავა. „სანმა" კი გამოჩხრიკა, რომ ბენიტესი თურმე ცოლმა არ გაუშვა მადრიდის „რეალში", რომელიც ამ ზამთარს ეპატიჟებოდა ესპანელს. ცოლის ამბავი „ლივერპულის" პატრონმა ტომ ჰიქსმა გაამხილა. ბენიტესის მეუღლეს ოჯახურ თათბირზე ქმრისთვის უთქვამს, შენ თუ მადრიდში წახვალ, მე ლივერპულში დავრჩებიო.

გაგა ხუციშვილი

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## კრიშტიანუ რონალდუ

ნახევარმცველი

დაიბადა 1985 წლის 5 თებერვალს მადეირაში

სიმაღლე: 1,84 მეტრი

წონა: 75 კგ

კარიერა: 1999-2003 წლები — „სპორტინგი" (25 მატჩი, 3 გოლი),

2003 წლიდან — „მანჩესტერ იუნაიტედი" (124 მატჩი, 34 გოლი)

2003 წლიდან თამაშობს პორტუგალიის ნაკრებში (46 მატჩი, 17 გოლი)

მეტსახელები: რონი, რაკეტა რონალდუ, CR7






## BENTLEY GT

გამოშვების თარიღი: 2005 წელი

სიგრძე: 4,804 მეტრი

სიგანე: 1,916 მეტრი

სიმაღლე: 1,390 მეტრი

წონა: 2 385 კგ

ცილინდრი: 12

ძრავის კუბატურა: 5,9

ავტომატური

გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 318 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,8 წამში

ფასი: 140 000 ევრო

# მორატი ვნახე ველოსიპედზე

ლონდონის „არსენალის" ფრანგმა კაპიტანმა ტიერი ანრიმ გაამხილა, იტალიაში „ინტერს" ვქომაგობ და მიხარია, ჩემპიონი რომ ხდებაო.

ტურინის „იუვენტუსის" ყოფილმა ფეხბურთელმა განაცხადა, ვიმედოვნებ, მილანელები „რომას" მოუგებენ და სკუდეტოს დაისაკუთრებენო: „ბედნიერი ვარ „ინტერის" გამო, ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონები თამაშით რომ ხდებიან. შარშანდელი სკუდეტო ხომ „იუვენტუსს" ჩამოართვეს და მუქთა გამოუვიდათ, მაგრამ ამ სეზონში ფეხბურთით დაიმსახურეს პირველობა. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ, როგორც იქნა, მასიმო მორატის გარჯა დაუფასდა. „ინტერის" პრეზიდენტი არაჩვეულებრივი კაცია. ერთხელ ვნახე, როგორ მოვიდა სტადიონზე ველოსიპედით. ხომ უცნაურია „ინტერის" პრეზიდენტი მორატი ველოსიპედზე?!"

გაგა ხუციშვილი

## ნორვეგია

ტიპელიგა
II ტური

ბრანი 3:1 სტრიომსგოდსეტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილესტრიომი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ბრანი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| სტარტი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| რუსენბორგი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ლინი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ტრომსიო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| სანდეფიორდი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ფრედრიკსტადი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| სტრიომსგოდსეტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ვიკინგი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ვოლერენგა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სტაბეკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ოდ გრენლანდი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ალესუნდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

## შვედეთი

ალსვენსკა. II ტური

იურგორდენი 2:0 ჰალმსტადი
ჰელსინგბორგი 3:1 გეფლე
მალმიო 1:0 გაის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ჰამარბი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| მალმიო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჰელსინგბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| იურგორდენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბრომაპოიკარნა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ჰალმსტადი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| გიოტებორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ელფსბორგი | 1 | 0 | 1 | 0. | 1:1 | 1 |
| იორებრო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| გაის | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| გეფლე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ტრელებორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| აიკ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

# მამა, რატომ გეძახიან მექრთამეს?
# ფანებმა კრისტიანო ლუკარელი ძმასთან გარიგებაში ამხილეს



„ლივორნოს" ვეტერანმა კაპიტანმა და სიმბოლომ კრისტიანო ლუკარელიმ დაადასტურა, რომ კლუბის დატოვებას აპირებს. წინა კვირის „რეჯინასთან" მატჩის შემდეგ ეს მოსალოდნელიც იყო — ტოსკანელები ლუკარელის გოლით კი იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ შეხვედრა 1:1 მორჩა, რამაც ფანები გააბრაზა და ისინი ლუკარელისაც გადასწვდნენ.

სხვათა შორის, კრისტიანოს ძმა, ალესანდრო „რეჯინაში" თამაშობს.

ტოსკანელი ფანების აზრით, ეს მატჩი ჩაწყობილი იყო — გუნდები წინასწარ მორიგდნენ ფრეზე. ამის გამო მათ ლივორნოელებს სულ მექრთამეები ეძახეს, რამაც ლუკარელი გაალიზიანა.

„აზრს არ ვიცვლი, სეზონის ბოლოს გუნდიდან წავალ. ჩემმა ვაჟმა, რომელიც სტადიონზე იყო, მკითხა, რატომ მეძახდნენ ფანები მექრთამეს. ამან ყველაზე მეტად მატკინა გული. ქომაგები უნდა მიხვდნენ, რომ რაც მოხდა, იმას ფეხბურთთან არანაირი კავშირი არ აქვს, ეს, ფაქტობრივად, ჩემს ოჯახზე თავდასხმა იყო, რაც უკვე მეტისმეტია. ალბათ ყველაფერი იმან გამოიწვია, რომ „რეჯინაში" ჩემი ძმა თამაშობს. რაიმე გარიგებაზე საუბარიც ზედმეტია" — თქვა ლუკარელიმ.

„ლივორნოს" კაპიტანი დაიცვა კლუბის პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ. არადა, მათ ცუდი ურთიერთობა აქვთ და ახლახან „შერიგდნენსავით".

„როგორ შეიძლება ლუკარელის კრიტიკა?! ფეხბურთელის, რომელიც სამი წელია, სერია A-ში ადგილს გვინარჩუნებს. გაიხსენეთ, რომ მან რამდენიმე დიდი კლუბის წინადადება უარყო და გვერთგულა. მას „ლივორნო" ძალიან უყვარს, ახლა კი იგი შეურაცხყოფილია, ისევე, როგორც მე. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა კრისტიანოს წასვლა გადავაფიქრებინოთ. „რეჯინასთან" ფრით კი, გულშემატკივრებისგან განსხვავებით, მე კმაყოფილი ვარ, ყველაფერი კარგად მიდის. ახლა გასავარდნ ზონასთან 7 ქულა გვაშორებს და არაერთხელ მითქვამს, რომ მიმდინარე სეზონში ჩვენი მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა" — განაცხადა ტოსკანელთა პრეზიდენტმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# გატუზო მანჩინის დაეტოლა

**იტალიური** „ინტერის" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ ცოტა ხნის წინ თქვა, სკუდეტოს მოგება, ჩემი აზრით, გაცილებით რთულია, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მიღწევაო. ახლა კი მას „მილანის" ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ უპასუხა.

„ამ საკითხზე მანჩინისგან განსხვავებული აზრი მაქვს. აქამდე ყველასგან მესმოდა, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება სამ-ოთხ სკუდეტოს უდრის და მეც ასე ვფიქრობ. არ მინდა, არასწორად გამიგოთ, „ინტერმა" მიმდინარე სეზონში ჩემპიონობა დაიმსახურა, მაგრამ იმის თქმა, რომ სკუდეტოს მოგება ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფზე ძნელია, სწორად არ მიმაჩნია" — აღნიშნა „რინომ".

გატუზოს კალჩოპოლის დასრულების შემდეგ ამოტივტივებულ ახალ ფაქტებზეც ჰკითხეს აზრი. კერძოდ, 2004 წლის „იუვენტუსი" — „მილანის" მატჩზე, რომელშიც მსაჯმა „შავ-წითლების" საზიანოდ რამდენიმე ძალიან საკამათო გადაწყვეტილება მიიღო.

„ეს ყველაფერი წარსულის ნაწილია. ჩვენი ადვოკატები ყველაფერს გააანალიზებენ და გადაწყვეტენ, რამდენად ღირს იმისთვის ბრძოლა, რომ 2004-05 წლების სეზონის სკუდეტო ჩვენ გადმოგვცენ, ისე, როგორც 2005-06 წლებისა გადასცეს „ინტერს". თუმცა ეს ორი წლის წინანდელი ამბავია... რა თქმა უნდა, ძალიან გავბრაზდი, როცა ამ სატელეფონო ზარებისა და ჩაწყობების ამბავი გავიგე, მაგრამ რა შემიძლია გავაკეთო?!" — იკითხა 29 წლის ფეხბურთელმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

## დიდას გასუქებული მხარი

„მილანის" მეკარე დიდამ მხრის ტრავმის გამო, შესაძლოა, „მანჩესტერთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩი გამოტოვოს. ეს შეხვედრა 24 აპრილს „ოლდ ტრაფორდზე" გაიმართება.

ბრაზილიელს „მესინასთან" თამაშისას კვლავ ასტკივდა მხარი და ალბათ დღეს „ასკოლისთანაც" დააკლდება გუნდს.

„ძალიან შეწუხებულნი ვართ — თქვა „მილანის" ექიმმა — მხრის გამოკვლევა გვინდა, მაგრამ ძალიან გასიებულია და ვერ ვახერხებთ. ვიმედოვნებთ, ხუთშაბათისთვის დაუცხრება."

ამასობაში კი „მილანის" მეოთხე მეკარემ, 38 წლის ვალერიო ფიორიმ კონტრაქტი ერთი წლით გააახანგრძლივა. იგი 1999 წელს იყიდეს „პიაჩენცადან" და რვა წლის განმავლობაში მხოლოდ ერთ მატჩში ითამაშა — ეს იყო 2002-2003 წლების სეზონში.

## ბოჟინოვი იუვეში დაიკარგა

**ვალერი ბოჟინოვის** აგენტმა გერი პალომბამ განაცხადა, რომ მის კლიენტს „ლაციოში" გადასვლის შანსი აქვს. რომაული გუნდის მწვრთნელი დელიო როსი „ლეჩედან" იცნობს ბულგარელ ფორვარდს, რომელიც „იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება.

„ბოჟინოვს ისეთი გუნდი სჭირდება, სადაც მუდმივად ათამაშებენ. „ლაციოს" ინტერესზე კი გეტყვით, რომ დელიო როსი „ლეჩეში" წვრთნიდა ვალერის და ერთმანეთს კარგად იცნობენ" — თქვა გერი პალომბამ.

## ბონაცოლი ოქტომბრელია

„**სამპდორიას**" ფორვარდ ემილიანო ბონაცოლისთვის სეზონი დასრულდა, რადგან ორშაბათს მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს. იგი 7 აპრილს „ტორინოსთან" მატჩში დაშავდა, როცა ჯვარედინი მყესები დაუზიანდა.

ექიმის თქმით, ბონაცოლის ხუთთვიანი უქმობა მოუწევს და, სავარაუდოდ, ოქტომბერში დაბრუნდება.

## უდინელებს უთვალთვალებენ

„**კონტროკამპო**" ამტკიცებს, რომ „ლივერპული" დაინტერესებულია ორი უდინეზელით: ვინჩენცო იაკინტათი და კრისტიან საპატათი.

ინგლისური კლუბის სკაუტები წინა შაბათს იტალიაში იყვნენ და „უდინეზე" — „კიევოს" მატჩში ფეხბურთელებს აკვირდებოდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონმა იაკინტამ ამ სეზონში 25 მატჩში 13 გოლი გაიტანა, ხოლო 20 წლის კოლუმბიელი მცველი საპატა ერთ-ერთი საუკეთესოა სერია A-ში.

## ნათხოვარი ტანკი მილანისთვის

„**მილანი**" ჰოლანდიურ პსვ-სთან იწყებს მოლაპარაკებას ბრაზილიელი ალექსის ტრანსფერზე. უკვე რამდენიმე სეზონია, 23 წლის მცველი მაღალ დონეზე თამაშობს და დაცვის გარდა გოლების გატანაც ეხერხება. კარლო ანჩელოტის უნდა, რომ მომავალი სეზონისთვის გუნდის უკანა ხაზი გააძლიეროს და ალექსიც მისი არჩევანია.

ბრაზილიელი ლონდონის „ჩელსის" საკუთრებაა და განათხოვრებულია პსვ-ში, რადგან ბრიტანეთის სამუშაო ვიზა ვერ მიიღო. მისი ფასი დაახლოებით 10 მილიონი ევროა, მეტსახელად კი „ტანკს" ეძახიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

| გადადებული XXII ტური | | |
| --- | --- | --- |
| დღეს | | |
| ასკოლი | : | მილანი |
| ემპოლი | : | ატალანტა |
| ინტერი | : | რომა |
| ლაციო | : | კიევო |
| ლივორნო | : | კალიარი |
| პარმა | : | ფიორენტინა |
| რეჯინა | : | მესინა |
| სიენა | : | ტორინო |
| უდინეზე | : | სამპდორია |
| კატანია | 1:2 | პალერმო |

# იტალია
# ცოდვის ტური

**ეს** გადადებული 22-ე ტური თებერვალში უნდა გამართულიყო, მაგრამ მაშინ მარტო ერთი მატჩი ჩატარდა: სიცილიური დერბი „კატანია" — „პალერმო".

რა ამბები მოჰყვა იმ შეხვედრას, გეცოდინებათ — „კატანიას" ფანებმა შეხლა-შემოხლისას პოლიციელ ფელიპე რაჩიტის ხელნაკეთი ბომბი ესროლეს და... მოკლეს.

„ინტერი" — „რომა" მაშინაც სეზონის მთავარ მატჩად ითვლებოდა. ამბობდნენ, თუ „ნეროაძურიმ" არ წააგო, სკუდეტოს, ფაქტობრივად, გაინაღდებსო. ეს მატჩი ახლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო იმ მხრივ, რომ, თუ „ინტერი" მოიგებს, ოფიციალურად გაინაღდებს ჩემპიონობას, თორემ რობერტო მანჩინის გუნდის პირველობაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარება.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება, მალე გავინაღდოთ სკუდეტო. ყველას ერთი სული გვაქვს, მინდორზე მოპოვებული ჩემპიონობა ვიზეიმოთ. პირადად მე ამას 12 წელია, ველი. უამრავი უსამართლობისა და პრობლემის მერე ეს დავიმსახურეთ. იმედია, „რომას" დავამარცხებთ და ქომაგებთან ერთად ვიზეიმებთ ამ დიდ წარმატებას" — თქვა „ინტერის" კაპიტანმა ხავიერ ძანეტიმ.

„რომას" მცველი მატეო ფერარი: „ჩვენს შორის სხვაობა 16 ქულაა, მაგრამ რეალურად, „ინტერსა" და „რომას" შორის ამხელა სხვაობა არ არის. ვეცდებით, ეს დავამტკიცოთ და მეტოქეს დაგეგმილი ზეიმი ჩავუშალოთ".

„ინტერს" ვალტერ სამუელი, მაქსველი, პატრიკ ვიეირა და ერნან კრესპო დააკლდებიან. „რომას" ლაზარეთში კი კვლავ ჟილბერტო მარტინესი და ალბერტო აკილანი არიან. როდრიგო ტადეი და მაქს ტონეტო კი ალბათ მოასწრებენ გამოჯანმრთელებას.

მესამეადგილოსანი „ლაციო", რომელმაც წინა ტურში სტუმრად ვერ მოუგო ცხრილის ფსკერზე მყოფ „ასკოლის" და ამით მიჯრით მოგებების რვამატჩიანი სერია გაიფუჭა, „კიევოს" მასპინძლობს. „მფრინავ ვირებს" გასავარდნ ზონამდე მხოლოდ ორი ქულა აშორებთ და „სტადიო ოლიმპიკოდან" სულ მცირე, ქულის წაღებას ეცდებიან.

„ლაციოს" გამჩერებელი „ასკოლის" სტუმარი „მილანი" იქნება, რომელსაც მეოთხე ადგილზე გამყარება სწადია. თუ მასპინძლებმა წააგეს, სერია A-ში დარჩენის ისედაც მიზერული შანსი, ფაქტობრივად, გაუნულდება.

ასე რომ, წესით, „როსონერის" იოლი გასეირნება არ ექნება, მით უმეტეს, დიდა და ალბათ რონალდო არ ეყოლება.

პრინციპული მატჩია „პარმასა" და „ფიორენტინას" შორის. „ენიო ტარდინის" ბინადრები გასავარდნ ზონაში არიან და ქულები ძალიან სჭირდებათ. „იებს" კი ოთხეულში შეძრომის იმედი ჯერ არ გადაწურვიათ და მოგებას ეცდებიან. სერიოზული დანაკლისი არც ერთ გუნდს არ აქვს.

აღვნიშნოთ ისიც, რომ „პარმას" თავკაცი კლაუდიო რანიერი ერთ დროს „ფიორენტინას" წვრთნიდა, ფლორენციელთა მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი კი, პირიქით, „პარმას".

| | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ინტერი | 31 | 25 | 6 | 0 | 65:25 | 81 |
| რომა | 31 | 19 | 8 | 4 | 62:23 | 65 |
| ლაციო | 31 | 17 | 8 | 6 | 54:26 | 56 |
| მილანი | 31 | 16 | 10 | 5 | 45:27 | 50 |
| პალერმო | 32 | 13 | 10 | 9 | 46:39 | 49 |
| ემპოლი | 31 | 12 | 10 | 9 | 33:31 | 46 |
| ფიორენტინა | 31 | 17 | 8 | 6 | 52:26 | 44 |
| ატალანტა | 31 | 9 | 12 | 10 | 45:43 | 39 |
| სამპდორია | 31 | 10 | 9 | 12 | 37:40 | 39 |
| უდინეზე | 31 | 10 | 9 | 12 | 40:44 | 39 |
| კალიარი | 31 | 7 | 13 | 11 | 26:33 | 34 |
| ლივორნო | 31 | 7 | 12 | 12 | 32:46 | 33 |
| კატანია | 32 | 8 | 9 | 15 | 38:61 | 33 |
| ტორინო | 31 | 8 | 8 | 15 | 25:42 | 32 |
| სიენა | 31 | 6 | 14 | 11 | 27:35 | 31 |
| კიევო | 31 | 6 | 10 | 15 | 33:43 | 28 |
| რეჯინა | 31 | 9 | 11 | 11 | 39:42 | 27 |
| პარმა | 31 | 5 | 11 | 15 | 26:49 | 26 |
| მესინა | 31 | 5 | 9 | 17 | 29:52 | 24 |
| ასკოლი | 31 | 3 | 11 | 17 | 24:51 | 20 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

ძალიან მნიშვნელოვანი, ექვსქულიანი მატჩია „სტადიო გრანდილოზე". „რეჯინა", რომელსაც გასავარდნ ზონასთან ოდენ ქულა აშორებს, ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „მესინას" მასპინძლობს, რომელსაც 3 ქულით უსწრებს...

**გიორგი ძაძაბაძე**

# ფამილარული ინტერვიუ შუსტერთან, როგორც დიდ ბარსელონელთან

## სანამ რეალი რეალობად იქცევა, გერმანელი კატალონიას ებრძვის



მადრიდული „ხეტაფე" ოცნების სიზმარშია — კლუბს თავის ისტორიაში კოპა დელ რეის ნახევარფინალისთვის არ მიუღწევია, რაც წლეულს გააკეთა და ახლა „ბარსელონასთან" ომში ფინალში გასვლას აპირებს. მადრიდელებს სასწაულის, უფრო სწორად, გერმანული სასწაულის იმედი აქვთ. ესპანეთში ამბობენ, რომ რაც ბოლო ორ სეზონში ბერნდ შუსტერმა ამ კლუბისთვის გააკეთა, იქაურებმა „კოლიზეუმ ალფონსო პერესზე" ძეგლი უნდა დაუდგან. სწორედ ამ სამწვრთნელო ჩაუქობისთვის გაუფორმა წინასწარი ხელშეკრულება „რეალმა" „ბერნარდოს", იქამდე კი მისი გადაბირება „ბარსელონას" და მიუნხენის „ბაიერნს" უნდოდათ. მოკლედ, შუსტერი და მისი პატარა „ხეტაფე" ხვალ „ბარსას" სათასო ნახევარფინალში უნდა შეხვდეს და ამასთან დაკავშირებით გერმანელს კატალონიურმა „სპორტმა" სთხოვა ინტერვიუ. საუბარი ფამილარულია, მწვრთნელი და ჟურნალისტი ერთმანეთს შენობით მიმართავენ — ბოლოს და ბოლოს, „ბერნარდო" რვა წელი თამაშობდა „ბარსელონაში". „სპორტის" კორესპონდენტმაც სიამაყით აღნიშნა, შუსტერთან საუბრის მოსურნე მადრიდელი ჟურნალისტები რიგში იდგნენ, „ბერნარდომ" კი პირველად ჩვენთან ლაპარაკი ისურვაო...

— სამწვრთნელო კარიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინ თავს როგორ გრძნობ?

— თასის ნახევარფინალს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. „ხეტაფე" კოპა დელ რეის ფინალში გასასვლელად თავის ისტორიაში პირველად იბრძოლებს და ბედმა ყველაზე სახიფათო მეტოქე შეგვახვედრა. დასაკარგი მაინც არაფერი გვაქვს და გამარჯვებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

— დაკარგვით არაფერს კარგავთ, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში ბევრს მოიგებთ...

— „ბარსა" ფავორიტია, ამაში ეჭვიც არ მეპარება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველანაირ ზომას არ მივმართავთ, რათა გულშემატკივრებს ორი ჯადოსნური სალამო ვაჩუქოთ და ფავორიტის დამარცხებით და ფინალში გასვლით პატარა სასწაული მოვახდინოთ. თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ, სხვა არაფერი დაგვრჩენია.

— თან ეს შენი, როგორც მწვრთნელის, უმაღლესი მიღწევა იქნება...

— უკრაინაში მუშაობისას თასის ფინალში გავედი, მაგრამ სანამ ის მატჩი შედგებოდა, მომხსნეს. თუ „ბარსა" დავამარცხეთ, ჩემს სამწვრთნელო კარიერაში ეს მეორე ფინალი იქნება. რომ იცოდე, სათასო მატჩები კარგად მაქვს დაცდილი, ფეხბურთელობის დროს ექვსი თასი მოვიგე და ამ ტურნირს ახლაც იმედით ვუყურებ.

— „კამპ ნოუს" თამაშისთვის შენი მიზანი რა იქნება?

— „ხეტაფესთვის" ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „კამპ ნოუზე" გოლი შევაგდოთ. იქ 0:0-ზე მატჩის დამთავრება თითქმის შეუძლებელია. „ბარსელონა" სანამ გოლს არ გაიტანს, არ მოგეშვება და ამიტომაც უნდა ვეცადოთ ნებისმიერი სიტუაციის გამოყენებას და გოლის შეგდებას. შეიძლება, წავაგოთ, მაგრამ ვეცდებით, რომ ანგარიშში სხვაობა მინიმალური დარჩეს და ორმატჩიანი დუელის ბედიც „კოლიზეუმ ალფონსო პერესზე" გადაწყდეს.

— სიურპრიზს არ ამზადებ?

— ტაქტიკური თვალსაზრისით, „ბარსას" საქმეს იმით გავურთულებთ, რითაც შეგვიძლია. ვნახოთ, რა მოხდება, თუმცა ლა ლიგის იანვრის მატჩში უკვე დავრწმუნდი, რომ „ხეტაფეს" შეუძლია, „ბარსელონას" გარკვეული პრობლემები შეუქმნას. მაშინ მეტოქეს მესი და ეტოო არ ჰყავდა, რაც საქმეს ცვლის, თუმცა ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. ყველაზე კარგი კი ის იქნება, მადრიდში მისაღები შედეგით დავბრუნდეთ. ცუდია, თუ 5 გოლი გაგვიტანეს. „კოლიზეუმზე" ხალხს ჩვენი იმედი აქვს და წარმოიდგინე, რამხელა სიხარული იქნება, ფინალში გასვლის ამბავს მადრიდში რომ გადავწყვეტთ...

— „ხეტაფეს" ქომაგობამ წლეულს თასზე სიხარული საკმარისად ნახა — შესანიშნავი გამარჯვებები გქონდათ...

— აქამდე ადვილად სულაც არ მოვსულვართ. ჯერ სეგუნდას მაშინდელი ლიდერი „ხერესი" დავამარცხეთ, მერე „მესტალიაზე" მოვიგეთ 4:2 და ტურნირს „ვალენსიაც" ჩამოვაშორეთ. შემდეგ კი „ოსასუნა" დავტოვეთ კოპა დელ რეის მიღმა, გუნდი, რომელიც უეფას თასის ნახევარფინალში გავიდა.

— „ბარსა" სათასო ბრძოლებს საუკეთესო ფორმაში ვერ ხვდება. „ხეტაფეს" ამ სიტუაციის სათავისოდ გამოყენება შეუძლია?

— ჯერ არ ვიცი, რას ვიზამთ, მაგრამ, ცხადია, რომ ბარსელონასნაირი გუნდისთვის ჩემპიონთა ლიგიდან ასე მალე გამოთიშვა მძიმე დარტყმაა. ლიგა ყველა სხვა დანარჩენ ტურნირს აღემატება მნიშვნელობით. „ბარსასაც" შარშანდელივით ფინალში გასვლა უნდოდა, რაც ვერ შეძლო.

— ამ მარცხმა კატალონიელ ფეხბურთელებზე და მათ ფანებზე მძიმე ზეგავლენა მოახდინა. ახლა ისე ჩანს, ბარსელონელები პრიმერას და კოპა დელ რეის მოგებას უკვე ნაკლებ მნიშვნელოვნად თვლიან...

— ვერ დაგეთანხმებით, გუნდს პრიმერას მოგებაც უნდა და თასისაც. თუ ამას მიაღწევენ, შეუძლიათ, თქვან, რომ შესანიშნავი სეზონი ჩაატარეს. პირადი გამოცდილებით ვიცი, რომ ჩემპიონობა და თასი ერთად ძნელი მოსაგებია და ამის განსახორციელებლად არც ერთი ფეხბურთელი თავს არ დაზოგავს. აი, გულშემატკივარი კი უკვე სხვა საქმეა — „ბარსას" ფანები ბოლო სეზონებში გამარჯვებებით ისე განებივრდნენ, რომ „მარტო" პრიმერას ჩემპიონობა და კოპა დელ რეი ევებ ეცოტავოთ...

— თასი ოქროს მედლებს მნიშვნელობით მაინც ჩამორჩება...

— სეზონის დასაწყისში „ბარსასთვის" კოპა დელ რეი მეორეხარისხოვანი იყო, მაგრამ ახლა, როცა ლა ლიგასთან ერთად მისი მოგებაც შეუძლიათ, კატალონიელები ამაზე უარს არ იტყვიან. მიუნხენის „ბაიერნი" ბოლო წლებში თასსაც იგებდა და ჩემპიონობასაც, რისი მიღწევის უნარი „ბარსელონასაც" აქვს.

— ოთხშაბათის მატჩს დავუბრუნდეთ. „კამპ ნოუზე" რონალდინიო არ ითამაშებს...

— ეს შვებაა ჩვენთვის, მაგრამ უპირატესობას მაინც არ გვაძლევს. რონი არ იქნება, მაგრამ ეტოო და მესი ხომ ითამაშებენ — ორივე ჯანზეა, თავს მშვენივრად გრძნობენ და გოლების გატანა უნდათ. ადრე რონალდინიომ იტვირთა ლიდერობა, როცა მესი და ეტოო ტრავმირებულები იყვნენ, ახლა კი არგენტინელის და კამერუნელის დროც მოვიდა. რონი კი ფენომენალური ფეხბურთელია.

— ბევრი ასე არ თვლის. ბრაზილიელს მწვავედ აკრიტიკებენ...

— ამ პოლემიკისა არაფერი მესმის. ეს კრიტიკა უსამართლოდ მეჩვენება. როცა სხვები ტრავმებს იშუშებდნენ, რონალდინიომ პრიმერადივიზიონში და ჩემპიონთა ლიგაში გუნდს დიდი დახმარება გაუწია. დღეს ბრაზილიელს ძალ-ღონისგან დაცლილს რომ ვხედავ, სულაც არ მიკვირს.

— მაგრამ ეს „ხეტაფესთვისაა" კარგი...

— დიახ, მაგრამ მარტო რონის არყოფნით თავს ვერ დავიმშვიდებ. „ბარსა" წლეულს ისეთი ბრწყინვალე აღარ არის, როგორც შარშან იყო, მაგრამ მეტოქის განადგურება მაინც ნებისმიერ მომენტში შეუძლია. თუ ამას მესი არ იზამს, ეტოო გააკეთებს და ამასთანავე მოედნის სიღრმიდან დეკუსაც სასიკვდილო ჭრილობის მიყენება შეუძლია. ამ გუნდის ნახევარდაცვის ხაზი ძველებურად ძლიერია.

— ფიქრობ, რომ ფრანკ რაიკარდი რამე სიურპრიზს შემოგთავაზებს? ჰოლანდიელი ისევ გაბედავს 3-4-3 სქემით თამაშს?

— გულიანად გამაცინე. ალბათ ვერ გაბედავს. ამ სქემამ „სარაგოსასთან" გაამართლა, მაგრამ ბედი ყოველთვის შენს მხარეს ხომ არ იქნება. უკვე წლებია, „ბარსა" თავის სქემას შეეჩვია და წარმატებებსაც აღწევს.

— ფიქრობ, რომ ამჟამინდელი „ბარსელონას" ეპოქა უკვე დასრულდა?

— რას ამბობ?! „ბარსას" ვარსკვლავები საკმარისად ახალგაზრდები არიან და „კამპ ნოუზე" დიდხანს უნდა ითამაშონ. ჩემი აზრით, ეს გუნდი მსოფლიოს ფეხბურთის მწვერვალზე კიდევ რამდენიმე წლით დარჩება. „ბარსამ" ყველაფერი ძალიან სწრაფად მოიგო — ეს რომ კატალონიელთა წარმატების მეექვსე წელი იყოს, მათ ეპოქას დასრულებულად ჩავთვლიდი, მაგრამ მხოლოდ მესამე სეზონია, რაც მწვერვალზე არიან. ამიტომაც ვფიქრობ, რომ არაფერიც არ დამთავრებულა.

— თანამედროვე ფეხბურთში ვარსკვლავები უცბად გაიბრწყინებენ და უცბადვე იწვებიან ხოლმე...

— საქმე ისაა, რომ ფეხბურთელებს ძალიან ადრეულად ჩემოვწერთ ხოლმე და გვავიწყდება მალდინისა და ზეედორფის მაგალითი. ნახე, „ბებრები" მაინც როგორ თამაშობენ: ხალხი ზედიზედ 3-4 წლის განმავლობაში ერთი და იმავე ფეხბურთელების ნახვით იღლება, თუმცა როცა ამ მოთამაშეებს ველარ ხედავენ, ხვდებიან, რომ ისინი უკვე მოენატრათ. აბა, რატომ უნდა დაითხოვო გუნდიდან რონალდინიო?! რა, მასზე უკეთესს მოიყვან?! რონიზე უკეთ ვინ ითამაშებს?! ისტორიულად, დიდი ფეხბურთელების უმრავლესობა „ბარსელონას" უკანა კარიდან ტოვებდა. ეს ტრადიცია უნდა შეიცვალოს. კარგი იქნება, თუ კლუბი ვარსკვლავებს დიდი ხნით შეინარჩუნებს.

### პლატინი [illegible]

უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის დავილდოვების ძველი ტრადიციის აღდგენა სურს. მისი აზრით, უეფას თასის და ჩემპიონთა ლიგის მომგებ გუნდებს მოედანზე კი არ უნდა გადასცემდნენ თასს და მედლებს, არამედ ტრიბუნაზე, ვიპ-ლოჟაში, როგორც ეს ადრე იყო.

ამის მოწინააღმდეგეები არიან ტელეკომპანიები, რადგან მოედანზე ერთად მოხტუნავე-მოზეიმე ფეხბურთელები უფრო კარგი და გაყიდვადი სანახაობაა.

მიშელ პლატინი ალბათ მაინც გაიტანს თავისას და ძველს აღადგენს.

### აიალა ჩვენთვის გვინდა

„ვალენსიას" არ სურს ცენტრალური მცველის, არგენტინელი რობერტო აიალას გაშვება, რომლის „ვილიარეალში" გადასვლაც თითქმის გადაწყვეტილია — წერს ესპანური „ასი".

„ღამურები" 6 მილიონ ევროს გაიღებენ ფეხბურთელის შესანარჩუნებლად.

აიალას „ვილიარეალთან" სიტყვიერი შეთანხმება კი აქვს, მაგრამ ქაღალდებზე ხელი ჯერ არ მოუწერია.

### კრუზი სკამიდან სარაგოსაში

„სარაგოსა" ჩემპიონთა ლიგაში თუ მოხვდება, გუნდის გაძლიერებას როკე სანტა კრუზის ყიდვით დაიწყებს.

„დიარიოსპორტის" ცნობით, პარაგვაელი ფორვარდი მიუნხენის „ბაიერნში" უთამაშებლობით უკმაყოფილოა და სეზონის ბოლოს იტალიაში ან ესპანეთში აპირებს კარიერის გაგრძელებას.

სანტა კრუზი ფელიქს მაგათის მწვრთნელობისასაც სკამზე იჯდა და ოტმარ ჰიცფელდის მისვლის შემდეგაც ვერ ხვდება ძირითად შემადგენლობაში.

### დეკუ იდეალური ფიგუა

„ინტერმა" დეკუს სანაცვლოდ „ბარსელონას" ექვსი მილიონი ევრო შესთავაზა — წერს იტალიური „გაძეტა დელო სპორტი".

სწორედ დეკუ მიაჩნია რობერტო მანჩინის ლუიშ ფიგუს იდეალურ შემცვლელად, რომელიც სეზონის ბოლოს „ალ იტიჰადში" გადავა.

ესპანური „მარკას" ცნობით კი, „ბარსელონას" პორტუგალიელი ნახევარმცველი 20 მილიონი ულირს. დეკუს კონტრაქტი კატალონიურ კლუბთან 2010 წელს ეწურება.

ვაჟა ხუციშვილი

# არ მეშინია სიკვდილის!

## ტურიენსო ალვარესი გამოჩნდა და ისეთები ილაპარაკა...



## ერთიც: რასინგს დაუჟინია, მსაჯი რეალის ფორმით დარბოდაო

**ესპანეთში** ხავიერ ტურიენსო ალვარესთან დაკავშირებული სკანდალი გრძელდება. ამ არბიტრმა კვირას სანტანდერის „რასინგისა“ და მადრიდის „რეალის“ მატჩი განსაჯა, რომელშიც მიგელ ანხელ პორტუგალის ბიჭებმა სამეფო გუნდი ორი პენალტით დაამარცხეს. სწორედ იმ ორმა საეჭვო თერთმეტმეტრიანმა და ორმა გაძევებამ გამოიწვია კრიტიკის ქარცეცხლი, რომლის მსხვერპლიც, რა თქმა უნდა, ტურიენსო ალვარესი გახლავთ.

„ელ სარდინეროს“ სკანდალური ჯახი 15 აპრილს შედგა, ესპანურმა მედიამ კი ტურიენსოს მოხელთება მოგვიანებითღა შეძლო. უფრო სწორად, არბიტრი თავად გამოცხადდა მედიის სამსჯავროზე. ტურიენსომ „პუნტო რადიოს“ დაურეკა და უთხრა, რომ მზად იყო, „რასინგი“ — „რეალის“ შეხვედრასთან დაკავშირებულ მოვლენებზე ესაუბრა.

ვიდრე „პუნტო რადიოსთან“ ტურიენსოს ნაბაასევს მოგახსენებთ, გეტყვით, რომ იგი მატჩის შემდეგ სახლში არ მისულა, მობილური ტელეფონიც გათიშა და მასთან დაკავშირებას ვერავინ ახერხებდა.

მადრიდული „ასი“ არბიტრის მეუღლეს ესტუმრა ლეონში, თუმცა თვალცრემლიანმა ქალმა ჟურნალისტებს განუცხადა, სანტადერული მატჩის შემდეგ ქმარი თვალით არ მინახავს, ტელეფონითაც ვერ ვესაუბრები, ხოლო ვილაც ბანდიტები გამუდმებით მირეკავენ და განადგურებით მემუქრებიანო.

და რა უთხრა სკანდალურმა არბიტრმა „პუნტო რადიოს“?

„თავს საშინლად ვგრძნობ. ასე დაუცველი და უმწეო არასდროს ვყოფილვარ. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ უკვე ორმოცდაათზე მეტი სატელეფონო მუქარა მივიღე. ვილაც ცხოველები რეკავენ და სიკვდილით იმუქრებიან. მე ჩემი სამუშაო მიყვარს, ვამაყობ იმით, რომ მსაჯი ვარ, მაგრამ როცა ჩემს ოჯახს სიკვდილით დასჯას ჰპირდებიან, ძალიან ძნელია, სიმშვიდე შევინარჩუნო“ — უთხრა ტურიენსომ ხოსეპ პედრეროლს, „პუნტო რადიოს“ პროგრამა „ელ მირადორის“ წამყვანს.

რასაკვირველია, პედრეროლმა მსაჯს ის კითხვაც დაუსვა, რაზე პასუხსაც მთელი ესპანეთი სულგანაბული ელოდა. კერძოდ, უნდა დანიშნულიყო თუ არა ყბადაღებული პენალტები. თუმცა ტურიენსომ პენალტებზე საუბარს თავი აარიდა და მადრიდის „რეალის“ სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩის ბრალდებებზე გადაიტანა თემა.

მიატოვიჩს ტურიენსო ცილისწამებაში ადანაშაულებს. პატივცემულმა „მონტენეგრინომ“ (ჩერნოგორიელ მიატოვიჩს ესპანეთის სატახტოში ასე ეძახიან) თამაშის მერე პრესკონფერენციაზე თქვა: „რაღაც ძალიან უცნაურად და საეჭვოდ მეჩვენება ხავიერ ტურიენსო ალვარესის საქციელი. მსაჯმა ის პენალტები გამოიგონა.“

ტურიენსო კი პასუხობს: „პენალტებთან დაკავშირებით არანაირ კომენტარს არ გავაკეთებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ შეუცდომელი არავინაა, ცდებიან ფეხბურთელებიც, არბიტრებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, კლუბების დირექტორატის წევრებიც კი. ასე რომ, ლაპარაკი, თითქოს „რაღაც ძალიან უცნაურად და საეჭვოდ ვიქცეოდი“, უსაფუძვლოდ მიმაჩნია.“

სხვათა შორის, პრედრაგ მიატოვიჩს ესპანეთის არბიტრთა ტექნიკური ასოციაციაც უჩივის — „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა ტურიენსო ალვარესი „რასინგისადმი“ სიმპათიაში უსაფუძვლოდ დაადანაშაულაო.

„არბიტრთა ასოციაციის საჩივარი არ მაღელვებს. ცუდი არაფერი მითქვამს, არც მატჩის ჩაწყობაში დამიდანაშაულებია ვინმე, უბრალოდ, ვთქვი, მსაჯმა პენალტები ციდან მოიტანა-მეთქი. რაც გინდათ, იფიქრეთ, მაგრამ ტურიენსო ალვარესის საქციელს დღესაც ვერ ვხსნი“ — თავისას არ იშლის მიატოვიჩი.

აგრესიული სატელეფონო ზარებით შეშფოთებულმა მსაჯმა კი სასამართლოს მიმართა...

„ის ნომერი, რომლითაც მუქარა მივიღე, დაფიქსირებულია და ეს სასამართლოში გაირკვევა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ჯოჯოხეთი გამოვცადე. სახლიდან ვერ გავდიოდი და იძულებული ვიყავი, ფარდის უკან დამალულს, ჭუჭრუტანიდან მეცქირა — მეშინოდა, ბანდიტები არ შემოცვენილიყვნენ... სიკვდილის არ მეშინია, თუმცა როცა წარმოვიდგინე, რომ იმ ხალხს ჩემი ოჯახის განადგურებაც შეეძლო, შოკში ჩავვარდი“ — აღნიშნა ტურიენსომ.

ლეონში, სადაც სკანდალური მსაჯი ცხოვრობს, მადრიდის „რეალის“ ფანები ბლომად არიან და მათ ტურიენსოს და მისი ოჯახის ყოფა საზიზღრად გაუსაძლისი გახადეს...

„ჩემი 6 წლის გოგონა სახლში ატირებული შემოვარდა — პარკში მას სხვა ბავშვები შემოეხვივნენ და უყვიროდნენ, რომ მისმა „გამყიდველმა“ მამამ მადრიდის „რეალს“ „რასინგთან“ განგებ წააგებინა. ვუყურებდი ჩემს შვილს და გაავთრებისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა — განა ნორმალურია ეს ყველაფერი?!“ — იკითხა სანტანდერული სკანდალის საბრალო არბიტრმა.

„პუნტო რადიოსთან“ ინტერვიუს დასასრულს კი ტურიენსო ალვარესმა აღნიშნა, რომ ყველა უარყოფითს თავისი დადებითი აქვს და ამ საშინელმა ორომტრიალმა ის წელში კი არ გატეხა, არამედ სულიერად გააძლიერა: „იმ ხალხის გასაგონად ვამბობ, ვინც მოკვლას მპირებს — მე ახლა ისეთი ძლიერი ვარ, როგორიც არასდროს და არც იმას ვაპირებ, მსაჯობას თავი დავანებო. თუ ვინმე იმის ძიებას დაიწყებს, ალვარესმა ფული აიღო და ფუჭი პენალტები დანიშნაო, ტყუილად დაშვრება — იმ მატჩში საეჭვოს ვერაფერს აღმოაჩენს.“

ახლა კიდევ ერთი საინტერესო ამბავი. თქვენი აზრით, რას ამბობენ სანტანდერში საწყალ ტურიენსოზე? რას და იმას, რომ... მსაჯი „რეალს“ ემხრობოდა!

„მადრიდულ გაზეთებს არ სურთ „რეალის“ სისუსტის აღიარება და „რასინგის“ გამარჯვება მსაჯს მიაწერეს... ფაბიო კაპელომ თქვა, წლეულს ეს ჩვენი საუკეთესო მატჩი იყო, რაც სტუმრად ჩაგვიტარებიაო. მე იმ თამაშში „რეალს“ განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნე“ — თქვა „რასინგის“ წარმომადგენელმა ფერნანდო ორტისმა.

სენიორ ორტისის აზრით, ტურიენსომ პირველ ტაიმში „რეალს“ დიდი დახმარება გაუწია...

„მსაჯები ხან ერთი გუნდის სასარგებლოდ სცოდავენ და ხან მეორის, მაგრამ იმ მატჩის პირველ ტაიმში ტურიენსომ კინაღამ „რეალის“ მაისურა ჩაიცვა — აბა, გაიხსენეთ, სერხიო რამოსმა საჯარიმოში ხელით ითამაშა, არბიტრმა კი პენალტი არ დანიშნა. მერე სერანო კინაღამ დაგვისახიჩრეს, ტურიენსოს კი დამნაშავე მადრიდელისთვის მეორე ყვითელი ბარათი დაენანა. ან ის რა იყო, ჟიგიჩი კასილიასთან პირისპირ რომ რჩებოდა და არბიტრმა უცებ საეჭვო თამაშგარე დააფიქსირა?! მადრიდში კი ალვარეს „სანტანდერელობას“ უკიჟინებენ... აი, სეირი თუ გნებავთ, ეს არის“ — განაცხადა „რასინგის“ ფანკლუბთა გაერთიანებული ასოციაციის თავკაცმა.

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ტურიენსოს სიტუაცია სახარბიელო ნამდვილად არ არის...

**ლადო ხომერიკი**

## პატარა და ძვირი პატო

**მოსკოვის** ცსკა ბრაზილიური „ინტერნასიონალიდან“ ალეშანდრე პატოს ყიდვას ცდილობს. 17 წლის ფორ[illegible] წასული ივიცა ოლიჩის შემცვლელად სურთ. „ინტერი“ ყაბულსაა, ოღონდ ერთი პირობით — ფეხბურთელის სხვა გუნდისთვის მიყიდვის შემთხვევაში, ცსკა-მ ბრაზილიურ კლუბს მიღებული თანხის 20 პროცენტი უნდა გადაუხადოს. მოსკოველებმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვეს, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ ნაოპერაციევი დანიელ კარვალიუ ამ სეზონში ვეღარ ითამაშებს და ცსკა-მ „ინტერთან“ მოლაპარაკება განაახლა.

რუსულ კლუბს ალეშანდრე პატო 8 მილიონი დოლარი დაუჯდება. „კონტროკამპოს“ ცნობით კი, ნახევარი წელია, პატოზე „მილანი“ ნადირობს, ხოლო „ინტერი“ მზადაა, 18 მილიონი ევრო გაიმეტოს...

## გიორლიცის ტანჯვა დაფასდება

**მიუნხენის** „ბაიერნი“ ანდრეას გიორლიცს კონტრაქტის გახანგრძლივებას სთავაზობს. იგი 2004 წელს გადავიდა „მიუნხენ 1860“-დან „ბაიერნში“, მაგრამ მალევე დაშავდა — მუხლის მყესები გაუწყდა. გამოჯანმთელების შემდეგ 2-3 მატჩში ითამაშა და ისევ ტრავმა მიიღო. სულ 27 თვე გაუცდა და ამ ხნის განმავლობაში ხუთი ოპერაცია გადაიტანა. 25 წლის ფეხბურთელი თებერვალში ისევ გავიდა მოედანზე და „ბაიერნს“ უნდა, რომ ხელშეკრულება გაუგრძელოს, რომელიც სეზონის ბოლოს იწურება. ახალი კონტრაქტი სამწლიანი იქნება.

## მზვერავი დე ვისერი

**„პერენვენის“** ბრაზილიელ ფორვარდს და ჩემპიონატის მთავარმეგოლე ალფონსო ალვეშს „ჩელსის“ სკაუტები აკვირდებიან. წინა ტურში „ტილბურგთან“ მატჩში ბრაზილიელმა ჰეთ თრიქი შეასრულა, მის თამაშს კი ჩელსელი მზვერავი პიტ დე ვისერი დაესწრო. შეხვედრის შემდეგ დე ვისერმა განაცხადა: „ჩვენ ვაკვირდებით ალვეშს, მაგრამ ჰოლანდიის ჩემპიონატში ძალიან სუსტი მცველები არიან და ამიტომ ფორვარდის ყიდვას არ ვიჩქარებთ. ვნახოთ, როგორ ითამაშებს მომდევნო სეზონში“.

## ფეხბურთი ჩაქუჩით თავში

**თელ ავივში** მოყვარულ ფეხბურთელთა მატჩი... ჩაქუჩის ჩარტყმით დასრულდა. თამაშის დროს ერთ-ერთმა, რატომღაც გამწარებულმა, ფეხბურთის და ჩაქუჩის მოყვარულმა მეტოქეს თავში ისეთი სდრუზა, რომ ქალადაყეჟილი და ტვინშერყეული ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს. ჩამრტყმელი აღმოჩნდა 39 წლის იუვალ პარდესი, რომელსაც ციხე ელის.

ამ ამბის გამავრცელებელი წყარო არ იტყობინება, თუ საიდან მოიტანა პარდესმა ჩაქუჩი.

**ვაჟა ხუციშვილი**

## გერმანია

II ბუნდესლიგა
XXIX ტური

**კარლ ცაისი 2:1 აუე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 29 | 18 | 6 | 5 | 61:34 | 60 |
| ჰანზა | 29 | 14 | 13 | 2 | 43:23 | 55 |
| დუისბურგი | 29 | 14 | 10 | 5 | 56:34 | 52 |
| ფრაიბურგი | 29 | 14 | 9 | 6 | 46:33 | 51 |
| ფიურტი | 29 | 14 | 6 | 9 | 46:33 | 48 |
| ლაუტერნი | 29 | 12 | 11 | 6 | 38:27 | 47 |
| აუგსბურგი | 29 | 11 | 9 | 9 | 35:27 | 42 |
| აუე | 29 | 13 | 3 | 13 | 41:41 | 42 |
| კიოლნი | 29 | 11 | 8 | 10 | 41:40 | 41 |
| მიუნხენი | 29 | 12 | 5 | 12 | 39:42 | 41 |
| პადერბორნი | 29 | 9 | 9 | 11 | 29:30 | 36 |
| ოფენბახი | 29 | 9 | 6 | 14 | 36:48 | 33 |
| კობლენცი | 29 | 8 | 8 | 13 | 29:40 | 32 |
| ესენი | 29 | 7 | 8 | 14 | 31:36 | 29 |
| უნტერჰახინგი | 29 | 7 | 8 | 14 | 29:43 | 29 |
| კარლ ცაისი | 29 | 7 | 8 | 14 | 30:49 | 29 |
| ბურგჰაუზენი | 29 | 6 | 9 | 14 | 34:55 | 27 |
| ბრაუნშვაიგი | 29 | 3 | 8 | 18 | 15:44 | 17 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXII ტური

**ბრესტი 2:0 ლე ავრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 32 | 20 | 10 | 2 | 47:14 | 70 |
| კაენი | 32 | 16 | 12 | 4 | 54:31 | 60 |
| სტრასბური | 31 | 15 | 12 | 4 | 39:26 | 57 |
| ამიენი | 32 | 16 | 6 | 10 | 45:38 | 54 |
| ლე ავრი | 32 | 14 | 10 | 8 | 46:29 | 52 |
| ბასტია | 32 | 12 | 10 | 10 | 40:38 | 46 |
| შატორუ | 32 | 13 | 7 | 12 | 35:37 | 46 |
| გრენობლი | 31 | 11 | 12 | 8 | 42:33 | 45 |
| რეიმსი | 32 | 12 | 9 | 11 | 39:36 | 45 |
| დიჟონი | 32 | 12 | 9 | 11 | 33:38 | 45 |
| აიაჩო | 32 | 10 | 10 | 12 | 37:37 | 40 |
| გენიონი | 32 | 11 | 7 | 14 | 35:40 | 40 |
| ლიბურნი | 32 | 10 | 7 | 15 | 35:44 | 37 |
| გენგამი | 32 | 8 | 12 | 12 | 36:36 | 36 |
| ბრესტი | 32 | 7 | 14 | 11 | 32:35 | 35 |
| ნიორი | 32 | 8 | 11 | 13 | 29:40 | 35 |
| მონპელიე | 32 | 8 | 10 | 14 | 34:42 | 34 |
| კრეტეი | 32 | 7 | 12 | 13 | 25:40 | 33 |
| ისტრი | 32 | 7 | 8 | 17 | 26:51 | 29 |
| ტურსი | 32 | 5 | 6 | 21 | 25:49 | 21 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXV ტური

**ბენფიკა 0:0 ბრაგა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 25 | 19 | 2 | 4 | 54:15 | 59 |
| სპორტინგი | 25 | 16 | 7 | 2 | 40:13 | 55 |
| ბენფიკა | 25 | 16 | 6 | 3 | 46:18 | 54 |
| ბელენენსეში | 25 | 13 | 4 | 8 | 30:20 | 43 |
| ბრაგა | 25 | 11 | 6 | 8 | 30:28 | 39 |
| ფერეირა | 25 | 9 | 9 | 7 | 28:33 | 36 |
| ნასიონალი | 25 | 9 | 5 | 11 | 36:34 | 32 |
| ლეირია | 25 | 8 | 8 | 9 | 18:23 | 32 |
| ნავალი | 25 | 7 | 10 | 8 | 24:26 | 31 |
| მარიტიმუ | 25 | 8 | 6 | 11 | 28:36 | 30 |
| ბოავიშტა | 25 | 6 | 11 | 8 | 27:28 | 29 |
| ამადორა | 25 | 6 | 7 | 12 | 18:33 | 25 |
| აკადემიკა | 25 | 5 | 7 | 13 | 27:41 | 22 |
| ავეში | 25 | 4 | 7 | 14 | 19:33 | 19 |
| ბეირა მარი | 25 | 3 | 10 | 12 | 26:48 | 19 |
| სეტუბალი | 25 | 4 | 7 | 14 | 17:39 | 19 |

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XXII ტური

**ბრნო 2:1 სიგმა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 22 | 14 | 5 | 3 | 37:17 | 47 |
| სპარტა | 22 | 13 | 6 | 3 | 28:13 | 45 |
| ლიბერეცი | 22 | 11 | 8 | 3 | 29:13 | 41 |
| ბოლესლავი | 22 | 11 | 5 | 6 | 31:25 | 38 |
| ბრნო | 22 | 9 | 7 | 6 | 26:22 | 34 |
| ბანიკი | 22 | 8 | 7 | 7 | 29:27 | 31 |
| პლზენი | 22 | 8 | 7 | 7 | 25:23 | 31 |
| იაბლონეცი | 22 | 7 | 9 | 6 | 24:21 | 30 |
| ბუდეიოვიცე | 22 | 8 | 6 | 8 | 20:29 | 30 |
| ტეპლიცე | 22 | 7 | 8 | 7 | 35:30 | 29 |
| კლადნო | 22 | 6 | 7 | 9 | 19:28 | 25 |
| მოსტი | 22 | 4 | 11 | 7 | 21:27 | 23 |
| ზლინი | 22 | 4 | 8 | 10 | 14:24 | 20 |
| სიგმა | 22 | 5 | 3 | 14 | 23:35 | 18 |
| პრჟიბრამი | 22 | 2 | 10 | 10 | 13:26 | 16 |
| სლოვაცკო | 22 | 1 | 9 | 12 | 14:28 | 12 |

# პარიზი და არაფერი სხვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადა, „პარი სენ ჟერმენზე“ ვლაპარაკობთ... თუმცა, რა გაეწყობა. სინამდვილე ასეთია: საფრანგეთის პირველობის დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე ცნობილი პარიზული გუნდი ჯერაც გაურკვევლობაშია — არავინ იცის, გავარდება თუ ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს. და ეს მაშინ, როდესაც პოლ ლე გუენის ხელმძღვანელობით, როგორც ფრანგები ეძახიან, „პე-ეს-ჟემ“ მდგომარეობა გაიუმჯობესა. ერთი სიტყვით, რაა დასამალი და, ამ სეზონში „პარკ დე პრენსზე“ ცალკე მაყურებელს დაანყდა ნერვები და ცალკე ფეხბურთელებს, მთელი ამ ვნებათაღელვის ავანგარდში კი, ბუნებრივია, პორტუგალიელი ვარსკვლავი პედრუ პაულეტა გახლდათ. ბუნებრივიაო, იმიტომ ვამბობთ, რომ გოლების მანქანა (ამ სეზონშიც კი 28 შეხვედრაში 10 გოლის გატანა მოახერხა) გარდა იმისა, რომ „პარი სენ ჟერმენის“ ვეტერანია, პასუხისმგებლობას არასდროს ემალება. პაულეტას საფრანგეთის ლიგა 1-ში მოქმედ ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი, სამშობლოში, პორტუგალიაში კი ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მეგოლეა: 88 მატჩში 47 გოლი



პორტუგალიის ეროვნული ორკესტრი: შუაში პედრუ პაულეტა

## პედრუ პაულეტა პორტუგალიის ნაკრებში ტელეფონით ითამაშებს

— პედრუ, მართალია, „პარი სენ ჟერმენს“ თავი ქუდში ჯერ არ აქვს, მაგრამ ბოლო სამი თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცოტა ამოისუნთქეთ, არა? — თავდამსხმელს fifa.com-მა პირველი შეკითხვა ასეთი დაუსვა.

— დიახ, „ლანსთან“ და „ლე მანთან“ ერთნაირი ანგარიშით, 2:1 გამარჯვებებმა მდგომარეობა გაგვიიოლა და, რაც უფრო მთავარია, გუნდმა ინიციატივა დაიბრუნა, კვლავ სოლიდურად ათამაშდა. გასაგებია, რომ წინ კიდევ ექვსი თამაშია და ვითარებაც გვარიანად რთულია, მაგრამ ხსენებულ შეხვედრებში მიღებულმა დადებითმა გამოცდილებამ საკუთარი თავის რწმენა დაგვიბრუნა და უწინდელისგან განსხვავებით, ახლა უკვე ვიცით, როგორ უნდა ვიბრძოლოთ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის. ცხრილში კი, ამასობაში, ნამდვილი საგიჟეთია, გუნდები ყოველი ტურის შემდეგ ცვლიან ადგილებს. თუმცა, რაც უნდა იყოს, „პარი სენ ჟერმენმა“ ლიგა 1-ში ადგილი უნდა შეინარჩუნოს და ეს მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული. ამასთან, გვინდა, ეს ბოლო ტურამდე შევძლოთ.

— ალბათ, „პარი სენ ჟერმენის“ დონისა და საერთაშორისო რეპუტაციის მქონე გუნდისთვის ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა განსაკუთრებით ძნელია...

— რა თქმა უნდა. „პარი სენ ჟერმენში“ თამაში ნებისმიერ სხვა გუნდში თამაშზე ძნელია. აქ ადამიანმა უდიდეს ზეწოლას უნდა გაუძლოს, „პე-ეს-ჟეს“ გარშემო მუდამ რაღაც ხდება, მუდამ ვნებათაღელვაა. დღე ისე არ გავა, რაიმე მოედანსმიღმა ისტორია არ მოხდეს და, როდესაც ამას ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაც ემატება, ყველაფერი ორმაგად ძნელდება.

— ეს სეზონი კარიერაში უარესი იყო?

— სხვანაირად მართლაც ვერ ვიტყვი. იმედი მაქვს, ყველაფერი, რაც შეიძლება, მალე და კარგად დამთავრდება. ჯერ იყო და, სეზონი ახალი მეპატრონითა და პრეზიდენტით დავიწყეთ. შემდეგ ვიკაშ დორასო გააგდეს გუნდიდან, გამოვიცვალეთ მწვრთნელი და სატრანსფერო ფანჯრის დროს მრავალი ახალი ფეხბურთელი ავიყვანეთ. ამას ფანებთან პრობლემები დაემატა... მოკლედ, ასეთი საშინელი სეზონი ადრე არასდროს მქონია, თუმცა როდესაც სათამაშოდ პარიზში მოდიხარ, უნდა იცოდე, რაში ჰყოფ თავს და ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. პარიზში ყოფნა ნებისმიერ სხვა ადგილას ყოფნაზე ძნელია.

— მოდი, ფანებთან დაკავშირებული პრობლემა გავიხსენოთ, რომლის შესახებაც თქვენ, როგორც კაპიტანმა, მაშინ არაფერი თქვით, მოვლენა საერთოდ უკომენტაროდ დატოვეთ და ამით ბევრი გააკვირვეთ. ამბავი ასეთი იყო: „პარი სენ ჟერმენისა“ და თელ ავივის „ჰაპოელის“ მატჩის შემდეგ პარიზელ ფანთა ერთი ჯგუფი „ჰაპოელის“ ქომაგს შემოეჯარა. ალყაშემორტყმულის გამოსარჩლება მავანმა სამოქალაქო ტანსაცმლიანმა პოლიციელმა ითავა, მაგრამ იარაღის გასროლა მოუხდა და პარიზელ ფანთაგან ერთი შემოაკვდა. ამის შემდეგ, გამოძიებამ დაახლოებით 200 პარიზელ გულშემატკივარს სტადიონზე სიარული აუკრძალა და ერთი ტრიბუნა საერთოდ გააუქმა კიდეც. ამას, ბუნებრივია, დიდი უკმაყოფილება მოჰყვა, რაც საბოლოოდ ტრიბუნის ისევ გახსნით დამთავრდა, მაგრამ 2006 წლის 23 ნოემბრიდან კარგა ხნის შემდეგ, 2007 წლის 27 იანვარს...

— მოდით, პასუხს, უპირველეს ყოვლისა, ასე გაგცემთ: მე პრესისკენ გზას არასოდეს ვიკაფავ. იმის თქმა მსურს, რომ ჟურნალისტებთან ყოველთვის ფრთხილი ვარ და ვცდილობ, თითოეულ სიტყვას დავუკვირდე. ადგილი, სადაც მე ჩემს სათქმელს ვამბობ, მოედანია. რაც შეეხება თქვენს მიერ გახსენებულ ამბავს, ის მეტისმეტად დელიკატურია. როდესაც ადამიანი კვდება, ვინც უნდა იყოს, ჩემი ფიქრები, უპირველეს ყოვლისა, მის ოჯახთანაა. უპირველეს ყოვლისა, მე მის ოჯახს თანავუგრძნობ. გარდა ამისა, ეს საქმე ჩემი კი არა, პოლიციის, უსაფრთხოების სამსახურების, სასამართლოს და იმ ტრაგედიის მოწმეების გასარჩევი გახლდათ, სხვისი კი არავის. ამასთან, საქმე ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია, ზუსტად დღესაც არ არის ცნობილი, რა მოხდა, პირადად მე კი იქ არ ვყოფილვარ და ამიტომაც ჩემი ჩარევა არაფრით იქნებოდა სწორი.

— მეორე მხრივ, რაც უფრო დაბლა ეშვებოდა „პარი სენ ჟერმენი“, მით უფრო იმაღლებდით ხმას თქვენ, მისი კაპიტანი...

— მივხვდი, რომ ფეხბურთელები ცუდ დღეში იყვნენ. განგაშის ზარები შობამდე უნდა შემოგვეკრა, ახალი წლის შემდეგ კი თამაშის თამაშზე წაგება რომ დავიწყეთ, აშკარად ვიგრძენი, რომ რაიმე უნდა გველონა. არ დაგავიწყდეთ, ორიოდ კვირის წინ ჩვენ ცხრილში ბოლო ადგილზე ვიყავით.

— გაგვაგებინეთ, რამ გამოიწვია „პარი სენ ჟერმენის“ ასეთი ვარდნა?

— არ დაგიმალავთ და, ეს სწორედ ის საკითხია, რისი გაგებაც თავად მიჭირს. ფეხბურთელები მაღალი დონისანი გვყავს, გასახდელში მეგობრული ატმოსფეროა... არ გამოვრიცხავ, რომ პერიოდულად ხასიათის სიმტკიცე გვაკლდა. იყო თამაშები, როდესაც მეტოქეები უნდა დაგვესაჯა. მერედა, ჩვენი ფეხბურთელების ერთმა ნაწილმა ცოტა გვიან იგრძნო, თუ რა მძიმე ვითარებაში ვვარდებოდით. როდესაც „პარი სენ ჟერმენის“ წევრი ხარ, ძნელია, წარმოიდგინო, რომ ვარდები, თუმცა დარწმუნებული ვარ, ეს სეზონი ჭკუის სასწავლებლად გამოგვადგება. გაჭირვებამ გონს მოგება იცის. რაც თავს გადაგვხდა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ფეხბურთში მნიშვნელოვანი მხოლოდ ერთი რამ არის — კონკრეტულ თამაშში მოედანზე რას აკეთებ.

— გი ლაკომბი პოლ ლე გუენმა შეცვალა. რა სიახლე მოიტანა ახალმა მწვრთნელმა?

— ძნელია, ამ კითხვაზე მკაფიო პასუხის გაცემა, რადგან ლაკომბს თავისი თვისებები აქვს, ლე გუენს თავისი. მეორე მხრივ, ფაქტია, რომ ლეკომბს რამდენიმე ფეხბურთელთან პრობლემები ჰქონდა. დღეს „პარი სენ ჟერმენში“ სულ სხვა ვითარებაა, თუმცა ისიც უნდა დავძინო, რომ მე ამით თავს არ ვიმართლებ. განა შეიძლება იმის დავიწყება, რომ გი ლაკომბის ხელმძღვანელობით გასულ სეზონში „პარი სენ ჟერმენმა“ თასი მოიგო?

— გასულ ზაფხულს ტრანსფერს „ლიონი“ გთავაზობდათ. ხომ არ ნანობთ?

— გადაწყვეტილებას თუ ვიღებ, მერე მისი ერთგული ვარ. ახლა ძალიან იოლია იმის თქმა, რომ უნდა წავსულიყავი, მაგრამ ჩემი ოჯახისთვის პარიზში დარჩენა რომ იყო მნიშვნელოვანი? რა იყო გუშინ, მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი დღევანდელი და ხვალინდელი დღეებია. მე „პარი სენ ჟერმენის“ ერთგული ვარ და მრავალჯერ მითქვამს, რომ კარიერის დასრულება აქ მინდა. კონტრაქტის თანახმად კიდევ ერთი წელიწადი უნდა დავყო „პარკ დე პრენსზე“.

— გაიხსენეთ გერმანიაში 2006 წელს ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი. ის თქვენი ბოლო დიდი სანაკრებო ტურნირი იყო?

— ნაკრები ჩემი კარიერის უმშვენიერესი ნაწილი იყო. მე 2006 წლის მუნდიალის გარდა ვითამაშე 2002 წლის მუნდიალზე და 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე. დიდებულ ათ წელიწადში უამრავი მეგობარი შევიძინე და, მართალია, შარშან ნაკრებიდან წასვლა გადავწყვიტე, იქ გაცნობილ ხალხთან კვლავ მჭიდრო კონტაქტი მაქვს.

— რამდენადაც ვიცით, ხშირად ურეკავთ ლუიშ ფელიპე სკოლარის. ნუთუ მან არ სცადა თქვენზე ემოქმედა, რათა გადაწყვეტილება შეგეცვალათ?

— დიახ, ის ჩემი დიდი მეგობარია. „პარი სენ ჟერმენი“ უეფას თასის მერვედფინალში ლისაბონში „ბენფიკასთან“ სათამაშოდ რომ ჩავიდა, სკოლარიმ სასტუმროშიც კი მომაკითხა, მაგრამ მან ისიც კარგად იცის, რომ ნაკრებიდან წასვლა დიდი განცდის შემდეგ გადავწყვიტე და როდესაც ამაზე ვილაპარაკეთ, გამიგო. ამიერიდან მე მარად მის გვერდით ვიქნები, ნაკრების ყოველი თამაშის წინ დავურეკავ, მაგრამ თავად აღარ ვითამაშებ.

— გავიხსენოთ ის დღე, როდესაც ლისაბონში „ბენფიკასთან“ სათამაშოდ ჩახვედით. ალბათ, როგორ გერჩივნათ, შინ ძლიერი გუნდის შემადგენლობაში დაბრუნებულიყავით და თავი ისე გამოგეჩინათ?

— ძალიან სამწუხარო იყო. გულით მინდოდა, საკუთარი მაყურებლის წინაშე მოზეიმე, საუცხოო ფორმაში მყოფ ფეხბურთელად წარვმდგარიყავი, თუმცა, რაც იყო, მაინც კარგად დამამახსოვრდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ბენფიკას“ მშვენიერ სტადიონზე გამოსვლა ღირს ერთ რამედ. მერე, ლისაბონშიც და პარიზშიც გოლი გავიტანე, ასეთი დიდი გუნდის კარში გოლის გატანა კი დიდი რამ არის.

— რამდენად ძლიერია დღევანდელი პორტუგალიის ნაკრები?

— მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ადგილზე გავედით და ამით დავამტკიცეთ, რომ ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები გვყავს. მართალია, მას მერე თაობა შეიცვალა, მაგრამ სკოლარი ახალ ფეხბურთელებს ისე არგებს გუნდს, რომ პროცესი მტკივნეული არ გახლავთ. დღევანდელ ნაკრებში ნამდვილად გამოკვეთილი ხასიათის ფეხბურთელები თამაშობენ. ჩვენ გვყავს სიმაო, კრიშტიანუ რონალდუ, რიკარდუ კვარესმა... ამ მოთამაშეებს ნებისმიერ წამს შეუძლიათ მატჩის მსვლელობის შეცვლა. და კიდევ, რა თქმა უნდა, ნანი. ის ჩემთვის საგანგებო ნიჭის მქონე ვარსკვლავია.

— მეორე მხრივ, პორტუგალიის ნაკრებს ნამდვილი გოლეადორი აღარ ჰყავს...

— დიახ, მართალია, ჩემს მიერ ჩამოთვლილი ფეხბურთელები უფრო გარემარბები და შემქმნელები არიან, ვიდრე საჯარიმოს მელიები (fox in the box), მაგრამ, მოდი, ნურც ელდერ პოშტიგას, ნუნუ გომეშს და უგო ალმეიდას დავივიწყებთ.

— და ბოლოს თქვენი მომავლის შესახებ. ბევრს ლაპარაკობენ, რომ მომავალ სეზონს თქვენ ახალ კლუბში გაატარებთ...

— მთელი კარიერის განმავლობაში გუნდს თავად ვირჩევდი და ახლა, 34 წლისა არაფრის შეცვლას არ ვაპირებ. ფეხბურთს თავს ერთი წლის მერე დავანებებ, მანამდე კი „პარი სენ ჟერმენთან“ კიდევ ერთი წელიწადი მაკავშირებს. მოკლედ, 2008 წლის ივნისში ფეხბურთის თამაშს „პარი სენ ჟერმენის“ მაისურით დავანებებ თავს. ამაზე ნათლად როგორღა ვთქვა? კლუბის პრეზიდენტსაც უკვე ველაპარაკე და კარიერის დასრულების შემდეგ აქვე ახალ თანამდებობაზე დავიწყეთ ფიქრი. კონკრეტული ჯერ არაფერია, მაგრამ ეს ფაქტია. მანამდე კი მინდა, „პარი სენ ჟერმენი“ გავარდნისგან ვიხსნა და შემდეგ, ჩემი ბოლო სეზონისგან მივიღო სიამოვნება. დანარჩენი მერე გამოჩნდება...

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 5 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 7.00 | 3.70 | 1.50 | 2.42 | 1.23 | 1.06 |
| 23:00 | 6 | ვესტ ჰემი-ჩელსი 1:0 | 2.40 | 3.30 | 2.30 | | | |
| 23:00 | 7 | ბლექბერნი-უოტფორდი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 23:00 | 8 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 23:00 | 9 | ლივერპული-მიდლსბრო 0:1 | 1.95 | 3.50 | 2.90 | | | |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 35 | ბრედფორდი-ლეიტონი | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 36 | კარლაილი-ბრისტოლი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 37 | ჩელტენემი-ბლეკპული | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 18:00 | 38 | ქრიუ-ოლდემი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 18:00 | 39 | დონკასტერი-ბრენტფორდი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 18:00 | 40 | ჯილინგემი-პორტ ვეილი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 41 | ჰადერსფილდი-მილუოლი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 18:00 | 42 | ნორთჰემპტონი-ჩესტერფილდი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 43 | ნოტინგემი-ბორნმუთი | 1.50 | 3.70 | 5.70 | 1.06 | 1.18 | 2.24 |
| 18:00 | 44 | სუონსი-ბრაიტონი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 18:00 | 45 | ტრანმერი-სკანთორპი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 18:00 | 46 | იოვილი-როტერჰემი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 20 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 47 | ჰარტლპული-ნოტსი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 48 | პიტერბრო-ჰერეფორდი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 18:00 | 49 | როჩდეილი-მაკლსფილდი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 18:00 | 50 | შრიუსბერი-აკრინგტონი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 18:00 | 51 | სტოკპორტი-დონსი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 18:00 | 52 | სუინდონი-მენსფილდი | 1.40 | 3.70 | 8.00 | 1.01 | 1.19 | 2.52 |
| 18:00 | 53 | უოლსოლი-ბერი | 1.55 | 3.70 | 5.20 | 1.09 | 1.19 | 2.16 |
| 18:00 | 54 | რექსემი-ტორკი | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 18:00 | 55 | ბოსტონი-ჩესტერი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 18:00 | 56 | როვერსი-ლინკოლნი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 57 | დარლინგტონი-უიკომბი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 18:00 | 58 | გრიმსბი-ბარნეტი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 15:30 | 75 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 18:00 | 76 | დანფერმლაინი-დანდი იუნ. | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 18:00 | 77 | ინვერნესი-მაზერუელი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:00 | 78 | რეინჯერსი-ჰარტსი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 83 | ერდრი-პარტიკი | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 18:00 | 84 | დანდი-ჰამილტონი | 2.25 | 3.40 | 2.70 | 1.35 | 1.22 | 1.50 |
| 18:00 | 85 | გრეტნა-კლაიდი | 1.40 | 4.20 | 6.20 | 1.04 | 1.14 | 2.50 |
| 18:00 | 86 | ლივინგსტონი-როსი | 2.25 | 3.40 | 2.70 | 1.35 | 1.22 | 1.50 |
| 18:00 | 87 | სტ.ჯონსტონი-ქუინი | 1.60 | 3.70 | 4.50 | 1.11 | 1.18 | 2.03 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 88 | კოუდენბითი-ეარი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 89 | ფორფარი-რეითი | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 18:00 | 90 | მორტონი-სტრანრარი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 18:00 | 91 | პიტერჰედი-ალოა | 2.10 | 3.40 | 3.00 | 1.29 | 1.23 | 1.59 |
| 18:00 | 92 | სტირლინგი-ბრეჩინი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 93 | ბერიკი-არბროთი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 94 | ისტ ფაიფი-ალბიონი | 1.55 | 3.90 | 5.00 | 1.10 | 1.18 | 2.19 |
| 18:00 | 95 | ისტ სტირლინგი-დამბარტონი | 4.70 | 4.10 | 1.50 | 2.18 | 1.13 | 1.09 |
| 18:00 | 96 | მონტროუზი-სტენჰაუზმუირი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 97 | ქუინზ პარკი-ელგინი | 1.40 | 4.40 | 5.50 | 1.06 | 1.11 | 2.44 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 20 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 98 | ვერდერი-ალემანია | 1.30 | 4.80 | 9.50 | 1.02 | 1.14 | 3.18 |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 17:30 | 100 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.95 | 3.30 | 3.70 | 1.22 | 1.27 | 1.74 |
| 17:30 | 102 | აინტრახტი-ბოხუმი | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |
| 17:30 | 103 | ჰერტა-დორტმუნდი | 2.10 | 3.30 | 3.30 | 1.28 | 1.28 | 1.64 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 104 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 2.05 | 3.20 | 3.55 | 1.24 | 1.29 | 1.68 |
| 17:30 | 105 | შალკე-კოტბუსი | 1.35 | 4.30 | 9.00 | 1.02 | 1:17 | 2.90 |
| 17:30 | 107 | შტუტგარტი-ბაიერნი | 2.70 | 3.20 | 2.50 | 1.46 | 1.29 | 1.40 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 21:30 | 140 | ზალცბურგი-რიდი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 21:30 | 144 | პაშინგი-ალტახი. | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 21:45 | 157 | აარაუ-იანგ ბოიზი | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 21:45 | 158 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 21:45 | 159 | თუნი-ლუცერნი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 21:45 | 160 | ციურიხი-სიონი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 166 | ლოკარნო-ლოზანა | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 21:45 | 167 | ლუგანო-ბელინცონა | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 21:45 | 168 | ვინტერთური-ვილი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 21:45 | 169 | ვოლენი-შო დე ფონი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 21:45 | 170 | ქსამაქსი-კიასო | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 21:45 | 171 | ივერდონი-ვადუცი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 21:45 | 172 | ბოლმი-იუვენტუსი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 21:45 | 173 | კონკორდია-სერვეტი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 21:45 | 174 | კრინსი-დელემონი | 1.20 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.42 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 19:30 | 184 | ასკოლი-მილანი | 8.00 | 4.30 | 1.35 | 2.79 | 1.15 | 1.02 |
| 19:30 | 185 | ემპოლი-ატალანტა | 2.05 | 2.90 | 3.80 | 1.20 | 1.33 | 1.64 |
| 19:30 | 186 | ინტერი-რომა | 1.85 | 3.10 | 4.30 | 1.15 | 1.29 | 1.80 |
| 19:30 | 187 | ლაციო-კიევო | 1.55 | 3.50 | 6.50 | 1.07 | 1.25 | 2.27 |
| 19:30 | 189 | ლივორნო-კალიარი | 2.60 | 2.00 | 4.20 | 1.13 | 1.60 | 1.35 |
| 22:30 | 190 | პარმა-ფიორენტინა | 3.45 | 2.90 | 2.20 | 1.57 | 1.34 | 1.25 |
| 19:30 | 192 | რეჯინა-მესინა | 1.75 | 3.10 | 5.00 | 1.11 | 1.29 | 1.91 |
| 22:30 | 193 | სიენა-ტორინო | 2.30 | 2.20 | 4.20 | 1.12 | 1.48 | 1.44 |
| 19:30 | 194 | უდინეზე-სამპდორია | 2.15 | 2.90 | 3.65 | 1.23 | 1.35 | 1.61 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 270 | ბორდო-ნანსი | 1.67 | 3.20 | 6.00 | 1.09 | 1.30 | 2.08 |
| 21:00 | 271 | ლიონი-რენი | 1.50 | 3.50 | 7.50 | 1.04 | 1.25 | 2.38 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 762 | არისი-ერგოტელისი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| | | პოლონეთი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 391 | არკა-ოდრა | 2.00 | 3.00 | 3.55 | 1.20 | 1.27 | 1.62 |
| 22:00 | 392 | ბელხატოვი-გროცლინი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 20:00 | 393 | გურნიკი-ზაგლებე | 3.65 | 3.20 | 1.95 | 1.70 | 1.27 | 1.21 |
| 20:00 | 395 | ლეხი-პოგონი | 1.45 | 3.80 | 6.80 | 1.04 | 1.19 | 2.43 |
| 20:00 | 396 | ლოძი-კრაკოვია | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 20:00 | 397 | ვისლა-ლეჩნა | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 408 | ბანიკი-მოსტი | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 20:00 | 409 | სლავია-პლზენი | 1.45 | 3.80 | 6.80 | 1.04 | 1.19 | 2.43 |
| 20:00 | 410 | ტეპლიცე-პრჟიბრამი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 20:00 | 411 | ბუდეიოვიცე-სპარტა | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 22:15 | 412 | ზლინი-ბოლესლავი | 2.80 | 3.00 | 2.50 | 1.44 | 1.32 | 1.36 |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 19:15 | 413 | ლიბერეცი-იაბლონეცი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 21:30 | 415 | ბრნო-სლოვაცკო | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | ხორვატია | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 18:30 | 428 | ზაგრები-მედიმურიე | 1.35 | 3.90 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.56 |
| 18:30 | 429 | ჰაიდუკი-კამენი | 1.15 | 5.80 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.91 |
| 18:30 | 430 | შიბენიკი-სლავენი | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 18:30 | 431 | ვარტექსი-პულა | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 432 | რიეკა-ოსიეკი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 20:00 | 433 | დინამო-ციბალია | 1.15 | 5.90 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.95 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 440 | ჰორსენსი-მიდტიულანდი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 21:00 | 441 | ოდენსე-ესბიერგი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 21:00 | 442 | რანდერსი-ოლბორგი | 2.75 | 3.30 | 2.30 | 1.50 | 1.25 | 1.35 |
| 21:00 | 443 | სილკებორგი-ვეილე | 2.10 | 3.40 | 2.90 | 1.29 | 1.21 | 1.56 |
| 21:00 | 444 | ბრიონდბიუ-ვიბორგი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 22:00 | 445 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 4.70 | 3.50 | 1.65 | 2.00 | 1.22 | 1.12 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 489 | იონკოპინგი-ბანკეფლო | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 21:00 | 490 | იორგრიტე-დეგერფორსი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| | | გერმანია. თასი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 557 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 567 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.35 | 4.40 | 9.00 | 1.03 | 1.17 | 2.95 |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 566 | დეპორტივო-სევილია | 2.70 | 3.20 | 2.50 | 1.46 | 1.29 | 1.40 |
| | | საფრანგეთი. თასი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 569 | მარსელი-ნანტი | 1.65 | 3.30 | 5.30 | 1.10 | 1.25 | 2.03 |
| | | ბელგია. თასი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 571 | გენტი-ბრიუგე | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | ჰოლანდია. თასი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 572 | აიაქსი-ვალვაიკი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 573 | ალკმაარი-ბრედა | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 575 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1.25 | 4.60 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.15 |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 574 | ბელენენსეში-ბრაგა | 2.20 | 2.90 | 3.00 | 1.25 | 1.26 | 1.47 |
| | | საბერძნეთი. თასი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 760 | ქსანთი-პანათინაიკოსი | 3.50 | 3.00 | 2.00 | 1.61 | 1.27 | 1.20 |
| 20:00 | 761 | იანინა-ოლიმპია | 2.20 | 3.00 | 3.20 | 1.26 | 1.30 | 1.54 |
| | | რუსეთი. თასი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 16:00 | 576 | დინამო ბრიანსკი-როსტოვი | 3.60 | 2.80 | 2.15 | 1.57 | 1.34 | 1.21 |
| 17:00 | 577 | კრილია-მოსკოვი | 2.50 | 2.70 | 3.00 | 1.29 | 1.36 | 1.42 |
| 19:00 | 578 | ლოკომოტივი მ-დინამო მ | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 19:00 | 579 | სპარტაკი მ-ზენიტი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 582 | ბანფილდი-ლიბერტადი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:45 | 583 | ალიანზა ლიმა-სან პაულუ | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| 23:45 | 584 | ფლამენგო-რეალ პოტოსი | 1.17 | 5.20 | 13.00 | 1.00 | 1.07 | 3.71 |
| 23:45 | 585 | პარანა-მარაკაიბო | 1.20 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.52 |
| 23:45 | 586 | ამერიკა-ელ ნასიონალი | 1.15 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.67 |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 587 | ინტერნასიონალი-ნასიონალი მ | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 23:45 | 588 | ველესი-ემელეკი | 1.15 | 5.50 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 3.94 |
| 23:45 | 589 | ხიმნასია ლპ-დეფენსორი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 23:45 | 590 | სანტოსი-პასტო | 1.15 | 5.80 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.01 |
| | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | | |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 717 | ვალენსია-გრანადა | 1.20 | 12.00 | 3.30 | 1.09 | 1.00 | 2.58 |
| 22:30 | 718 | ტაუ-ბრუესა | 1.05 | 12.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 4.80 |
| 22:45 | 719 | ფუენლაბრადა-ალიკანტე | 1.40 | 12.00 | 2.40 | 1.25 | 1.00 | 2.00 |
| 23:30 | 720 | აუნკაბლე-ესტუდიანტესი | 1.55 | 12.00 | 2.30 | 1.37 | 1.00 | 1.93 |
| 22:45 | 722 | რეალი-ხირონა | 1.30 | 12.00 | 3.00 | 1.17 | 1.00 | 2.40 |
| | | 19 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 716 | ბარსელონა-ხუვენტუდი | 1.25 | 12.00 | 3.00 | 1.13 | 1.00 | 2.40 |
| 23:00 | 721 | მურსია-ვალიადოლიდი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 23:00 | 723 | მენორკა-ბილბაო | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |
| 23:00 | 724 | სან ფერნანდო-უნიკახა | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12140 | ზალცბურგი-რიდი | 2.00 | 1.60 |
| 12144 | პაშინგი-ალტახი | 1.90 | 1.70 |
| 12157 | აარაუ-იანგ ბოიზი | 1.90 | 1.70 |
| 12158 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 2.00 | 1.60 |
| 12159 | თუნი-ლუცერნი | 1.90 | 1.70 |
| 12160 | ციურიხი-სიონი | 2.00 | 1.60 |
| 12184 | ასკოლი-მილანი | 1.90 | 1.70 |
| 12185 | ემპოლი-ატალანტა | 1.60 | 2.00 |
| 12186 | ინტერი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12187 | ლაციო-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 12190 | პარმა-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12192 | რეჯინა-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 12194 | უდინეზე-სამპდორია | 1.60 | 2.00 |
| 12270 | ბორდო-ნანსი | 1.55 | 2.10 |
| 12271 | ლიონი-რენი | 1.70 | 1.90 |
| 12557 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 12567 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.90 | 1.70 |
| 12569 | მარსელი-ნანტი | 1.55 | 2.10 |
| 12571 | გენტი-ბრიუგე | 1.90 | 1.70 |
| 12572 | აიაქსი-ვალვაიკი | 2.40 | 1.45 |
| 12573 | ალკმაარი-ბრედა | 2.40 | 1.45 |
| 12575 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1.90 | 1.70 |
| 12762 | არისი-ერგოტელისი | 1.55 | 2.10 |

## ფრეს გარეშე
(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 5.20 | 1.10 |
| 16007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 1.16 | 4.00 |
| 16008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.05 | 6.30 |
| 16140 | ზალცბურგი-რიდი | 1.07 | 5.90 |
| 16144 | პაშინგი-ალტახი | 1.20 | 3.55 |
| 16157 | აარაუ-იანგ ბოიზი | 2.10 | 1.55 |
| 16158 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 2.10 | 1.55 |
| 16159 | თუნი-ლუცერნი | 1.35 | 2.70 |
| 16160 | ციურიხი-სიონი | 1.15 | 4.50 |
| 16184 | ასკოლი-მილანი | 7.80 | 1.03 |
| 16185 | ემპოლი-ატალანტა | 1.32 | 2.85 |
| 16186 | ინტერი-რომა | 1.30 | 3.00 |
| 16187 | ლაციო-კიევო | 1.09 | 5.50 |
| 16190 | პარმა-ფიორენტინა | 2.50 | 1.40 |
| 16192 | რეჯინა-მესინა | 1.17 | 3.80 |
| 16194 | უდინეზე-სამპდორია | 1.46 | 2.30 |
| 16270 | ბორდო-ნანსი | 1.20 | 3.80 |
| 16271 | ლიონი-რენი | 1.08 | 5.90 |
| 16557 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.80 | 1.80 |
| 16567 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.04 | 7.00 |
| 16569 | მარსელი-ნანტი | 1.17 | 4.00 |
| 16571 | გენტი-ბრიუგე | 1.47 | 2.30 |
| 16762 | არისი-ერგოტელისი | 1.20 | 3.80 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
(ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 1.70 | 1.70 |
| 13007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.90 | 1.70 |
| 13140 | ზალცბურგი-რიდი | 1.90 | 1.70 |
| 13144 | პაშინგი-ალტახი | 1.70 | 1.90 |
| 13157 | აარაუ-იანგ ბოიზი | 1.60 | 2.00 |
| 13158 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 1.60 | 2.00 |
| 13159 | თუნი-ლუცერნი | 1.70 | 1.90 |
| 13160 | ციურიხი-სიონი | 1.70 | 1.90 |
| 13184 | ასკოლი-მილანი | 1.90 | 1.70 |
| 13185 | ემპოლი-ატალანტა | 1.70 | 1.90 |
| 13186 | ინტერი-რომა | 1.60 | 2.00 |
| 13187 | ლაციო-კიევო | 1.90 | 1.70 |
| 13190 | პარმა-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13192 | რეჯინა-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13194 | უდინეზე-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13270 | ბორდო-ნანსი | 2.00 | 1.60 |
| 13271 | ლიონი-რენი | 2.00 | 1.60 |
| 13557 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.60 | 2.00 |
| 13567 | ბარსელონა-ხეტაფე | 2.00 | 1.60 |
| 13569 | მარსელი-ნანტი | 2.00 | 1.60 |
| 13762 | არისი-ერგოტელისი | 1.90 | 1.70 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ლივერპული-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | ზალცბურგი-რიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | პაშინგი-ალტახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | აარაუ-იანგ ბოიზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | თუნი-ლუცერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | ციურიხი-სიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15184 | ასკოლი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | ემპოლი-ატალანტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | ინტერი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15187 | ლაციო-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | პარმა-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | რეჯინა-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15194 | უდინეზე-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15270 | ბორდო-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15271 | ლიონი-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15557 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15567 | ბარსელონა-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15569 | მარსელი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15571 | გენტი-ბრიუგე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15762 | არისი-ერგოტელისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 2.60 | 1.20 |
| 14007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 1.30 | 2.50 |
| 14008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.18 | 2.65 |
| 14140 | ზალცბურგი-რიდი | 1.08 | 2.90 |
| 14144 | პაშინგი-ალტახი | 1.32 | 2.50 |
| 14157 | აარაუ-იანგ ბოიზი | 2.10 | 1.75 |
| 14158 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 2.10 | 1.75 |
| 14159 | თუნი-ლუცერნი | 1.60 | 2.30 |
| 14160 | ციურიხი-სიონი | 1.30 | 2.50 |
| 14184 | ასკოლი-მილანი | 2.60 | 1.20 |
| 14185 | ემპოლი-ატალანტა | 1.70 | 2.20 |
| 14186 | ინტერი-რომა | 1.60 | 2.30 |
| 14187 | ლაციო-კიევო | 1.30 | 2.50 |
| 14190 | პარმა-ფიორენტინა | 2.10 | 1.70 |
| 14192 | რეჯინა-მესინა | 1.40 | 2.40 |
| 14194 | უდინეზე-სამპდორია | 1.75 | 2.10 |
| 14270 | ბორდო-ნანსი | 1.30 | 2.50 |
| 14271 | ლიონი-რენი | 1.20 | 2.60 |
| 14557 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.90 | 1.90 |
| 14567 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.07 | 2.90 |
| 14569 | მარსელი-ნანტი | 1.30 | 2.50 |

## გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17140 | ზალცბურგი-რიდი | 1.85 | 1.95 |
| 17144 | პაშინგი-ალტახი | 1.85 | 1.95 |
| 17157 | აარაუ-იანგ ბოიზი | 1.85 | 1.95 |
| 17158 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |
| 17159 | თუნი-ლუცერნი | 1.85 | 1.95 |
| 17160 | ციურიხი-სიონი | 1.85 | 1.95 |
| 17184 | ასკოლი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ემპოლი-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17186 | ინტერი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17187 | ლაციო-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17190 | პარმა-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17192 | რეჯინა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17194 | უდინეზე-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17270 | ბორდო-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17271 | ლიონი-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17557 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17567 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17569 | მარსელი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17571 | გენტი-ბრიუგე | 1.85 | 1.95 |
| 17762 | არისი-ერგოტელისი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 6.00 | 2.30 | 1.85 | 1.66 | 1.41 | 1.02 |
| 10007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 2.05 | 2.10 | 5.40 | 1.03 | 1.48 | 1.51 |
| 10008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.80 | 2.40 | 7.00 | 1.02 | 1.43 | 1.78 |
| 10140 | ზალცბურგი-რიდი | 1.75 | 2.50 | 7.00 | 1.02 | 1.39 | 1.84 |
| 10144 | პაშინგი-ალტახი | 2.15 | 2.10 | 5.10 | 1.06 | 1.51 | 1.48 |
| 10157 | აარაუ-იანგ ბოიზი | 3.65 | 2.00 | 2.60 | 1.29 | 1.51 | 1.13 |
| 10158 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 3.50 | 2.00 | 2.60 | 1.27 | 1.49 | 1.13 |
| 10159 | თუნი-ლუცერნი | 2.25 | 2.00 | 4.60 | 1.05 | 1.51 | 1.39 |
| 10160 | ციურიხი-სიონი | 2.05 | 2.10 | 5.70 | 1.03 | 1.50 | 1.53 |
| 10184 | ასკოლი-მილანი | 9.00 | 2.40 | 1.65 | 1.89 | 1.39 | 1.00 |
| 10185 | ემპოლი-ატალანტა | 2.55 | 1.90 | 4.30 | 1.08 | 1.60 | 1.31 |
| 10186 | ინტერი-რომა | 2.30 | 2.00 | 4.80 | 1.06 | 1.55 | 1.41 |
| 10187 | ლაციო-კიევო | 1.90 | 2.20 | 7.00 | 1.01 | 1.49 | 1.67 |
| 10190 | პარმა-ფიორენტინა | 3.90 | 1.90 | 2.75 | 1.27 | 1.61 | 1.12 |
| 10192 | რეჯინა-მესინა | 2.10 | 2.10 | 5.50 | 1.04 | 1.51 | 1.51 |
| 10194 | უდინეზე-სამპდორია | 2.65 | 1.90 | 3.95 | 1.10 | 1.58 | 1.28 |
| 10270 | ბორდო-ნანსი | 2.10 | 2.00 | 6.00 | 1.02 | 1.55 | 1.50 |
| 10271 | ლიონი-რენი | 1.85 | 2.10 | 7.60 | 1.00 | 1.48 | 1.64 |
| 10557 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10567 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.55 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.29 | 1.90 |
| 10569 | მარსელი-ნანტი | 2.10 | 2.00 | 5.60 | 1.02 | 1.52 | 1.47 |
| 10571 | გენტი-ბრიუგე | 2.40 | 2.00 | 3.70 | 1.09 | 1.45 | 1.29 |
| 10572 | აიაქსი-ვალვაიკი | 1.50 | 2.60 | 10.00 | 1.00 | 1.30 | 2.06 |
| 10575 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1.50 | 3.00 | 8.00 | 1.00 | 1.26 | 2.18 |
| 10762 | არისი-ერგოტელისი | 2.10 | 2.10 | 5.40 | 1.04 | 1.51 | 1.51 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.90 |
| 11007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 2.20 | 12.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.75 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11140 | ზალცბურგი-რიდი | 1.85 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11144 | პაშინგი-ალტახი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11157 | აარაუ-იანგ ბოიზი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11158 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11159 | თუნი-ლუცერნი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11160 | ციურიხი-სიონი | 2.15 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11184 | ასკოლი-მილანი | 14.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.70 |
| 11185 | ემპოლი-ატალანტა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11186 | ინტერი-რომა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11187 | ლაციო-კიევო | 2.10 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11190 | პარმა-ფიორენტინა | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11192 | რეჯინა-მესინა | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11194 | უდინეზე-სამპდორია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11270 | ბორდო-ნანსი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11271 | ლიონი-რენი | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11557 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11567 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.65 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11569 | მარსელი-ნანტი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11571 | გენტი-ბრიუგე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11572 | აიაქსი-ვალვაიკი | 1.45 | 15.00 | 40.00 | 3.50 | 6.00 | 17.00 | 25.00 | 17.00 | 17.00 |
| 11575 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1.50 | 15.00 | 40.00 | 3.50 | 6.00 | 17.00 | 25.00 | 17.00 | 17.00 |
| 11762 | არისი-ერგოტელისი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

# საქართველოს ჩემპიონატი

# რეგულარულს გვარჯილა დაეყარა



რამაზ გოგობერიშვილი საუკეთესო იყო

**17 აპრილი**
**ვერის ბალი**

**თსუ 77:99 აზოტი**
*16:28 27:37 23:10 8:24*

**თსუ:** ვეფხვაძე (6), ბ. ბერიშვილი (7), ხეცურიანი (10), შანიძე (7), მათიაშვილი (1); იმნაძე (10), ლეჟავა (18), ტყეშელაშვილი (7), ფანჩულიძე (4), მარხვაშვილი (4), მ. ბერიშვილი (3), არწივიძე
**აზოტი:** გამყრელიძე (10), ტულუში (14), ბოისა (2), ბეჟანიშვილი (11), უგრეხელიძე (6); გოგობერიშვილი (17), მელიშვეიჩი (7), ტუჯანი (8), დიდია (4), მარკოიშვილი (20)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**ავიამშენი 101:88 დინამო**
*28:18 20:19 27:18 26:33*

**ავიამშენი:** დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი (8), ხოშტარია (16), ბაბიაშვილი (28), ნინიაშვილი (8); სუხიშვილი (12), კვიმსაძე (11), ნიკოლაძე (11), კეიდია (7)
**დინამო:** გულისაბედაშვილი (13), ბადრიძე (8), ლაფანაშვილი (13), კოლუაშვილი (19), გვიმრაძე (20); მურჯიკნელი (10), ნ. ნოზაძე (2), ფაიქრიძე (2), სიგუა (1)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ გელოვანი

**სტუ 83:65 მაკაბი**
*18:17 23:18 17:12 25:18*

**სტუ:** ეძგვერაძე (5), მაისურაძე (11), დევიძე (2), ლ. ნოზაძე (8), ახალკაცი (19); ბერაია (10), კოხრეიძე (9), ბარბაქაძე (11), ძიძიგური (5), სებისკვერაძე (3)
**მაკაბი:** დოლიძე (13), კორკოტაძე, პირველაშვილი (1), ვაშაკიძე (30), ს. შერმადინი (15); ჯგერენაია (6), გამცემლიძე, ბარსეგიანი, ენუქიძე, ხორავა
მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**გუშინ** დაიწყო რეგულარული ჩემპიონატის გადამწყვეტი ფაზა — მეხუთე, სპრინტერული წრე. თუკი აქამდე გუნდები მხოლოდ უქმეებზე თამაშობდნენ, ახლა ყოველდღე მოუწევთ მოედანზე გასვლა და რეგულარული ჩემპიონატიც ამ კვირასთან ერთად დასრულდება.

გადამწყვეტიო, ვთქვით და ეს მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ლიდერთა ტრიოს ერთმანეთში გასარკვევი არაფერი აქვს. დარჩენილი მატჩების მთავარი ინტრიგა მეოთხე საპლეიოფო გუნდის გამორკვევაა და გუშინ მისი ვინაობაც ოფიციალურად ჯერ ვერა, მაგრამ ფაქტობრივად კი გაირკვა. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა პლეი ოფში გასვლის კიდევ ერთი მოსურნე „მაკაბი“ დაამარცხა და „დინამოს“ ერთი მოგებით მიუახლოვდა. დარჩენილ 4 ტურში ამ ჩამორჩენის გაბათილება სტუ-სთვის უძნელესი იქნება, რადგან ტენიკოსებმა კონკურენტ „დინამოს“ რომც მოუგონ, მის გადასასწრებად რომელიმე ლიდერის დამარცხება დასჭირდებათ, რაც, ცოტა არ იყოს, სენსაციას უტოლდება.

„მაკაბი“ გუშინ საბოლოოდ ჩამოსცილდა ოთხეულში მოხვედრისთვის მებრძოლებს — ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდმა ტრავმის გამო გიორგი შერმადინი რომ დაკარგა, ყველა მატჩში წასაგებად გაიწირა. მაკაბელებმა გუშინ ისევე უფერულად ითამაშეს სტუ-სთან, როგორც წინა შაბათს „დინამოსთან“ და კვლავ დიდი სხვაობით წააგეს.

ეს ცხრილის ქვესამეულის ამბები და ლიდერებს ყველაფერი გარკვეული აქვთ: რუსთავის „აზოტი“ პირველია, რომელმაც გუშინ ცოტა ნერვიულად, მაგრამ მაინც იოლად დაამარცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი და რეგულარული ჩემპიონობა ოფიციალურად გაიფორმა. „ავიამშენი“ და თსუ მეორე-მესამე ადგილებს გაიყოფენ, თუმც არც ერთს არ ადარდებს, ვინ რომელზე გავა, რადგან ორივეს მშობლიური დარბაზი ვერის ბალშია.

გუშინდელი „აზოტი“ — თსუ უფრო სავარჯიშო ხასიათისა იყო და ეს თამაშის მიმდინარეობასაც დაეტყო. სტუდენტთა თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოიყვანა. გუნდის ლიდერი ბესიკ ლეჟავა და წამყვანი მოთამაშეები — მიშა ფანჩულიძე და რიჩარდ მათიაშვილი პირველ ტაიმში თითქმის არ ათამაშა. შედეგად 22 ქულითაც ჩამორჩა და მესამე მეოთხედიდან უკვე ოპტიმალური ხუთეულით შეუტია რუსთაველებს.

მაქსიმუმი, რაც თბილისელებმა მოახერხეს, ჩამორჩენის 7 ქულამდე შემცირება იყო. „აზოტმა“ მოპოვებული უპირატესობა აღარ გაფლანგა და ბოლო მეოთხედში საპირველტაიმო, 22-ქულიანი აქტივი დაიბრუნა.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩისა და მთლიანად ტურის საუკეთესო მოთამაშედ ჟურნალისტებმა რუსთაველი რამაზ გოგბერიშვილი დაასახელეს, რომელსაც ეს პატივი ამ სეზონში პირველად ერგო.

**ირაკლი ბერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 21 | 20 | 1 | +519 | 41 |
| ავიამშენი | 21 | 15 | 6 | +217 | 36 |
| თსუ | 21 | 14 | 7 | +247 | 35 |
| დინამო | 21 | 6 | 15 | -239 | 27 |
| სტუ | 21 | 5 | 16 | -367 | 26 |
| მაკაბი | 21 | 3 | 18 | -416 | 24 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

**16 აპრილი**

**მილუოკი 102:96 ატლანტა**
**მილუოკი:** ბოიკინსი (9), უილიამსი (26), პატერსონი (23), ბელი (14), გაძურიჩი (8); გრირი (6), ნოელი (6), რეინესი (4), ილიასოვა (4), მარკოტა (2)
**ატლანტა:** ლუ (11), აივი (16), მ. უილიამსი (21), სმიტი (17 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), შ. უილიამსი (16 ქულა, 17 მოხსნა); ე. ჯონსონი (9), ჯონსი (2), მედვედენკო (2), ბატისტა (2), რაიტი
ფაჩულიას არ უთამაშია

**ჰიუსტონი 120:117 ფინიქსი**
**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (39 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი), მინი (34), ბეტიე (17)
**ფინიქსი:** სტუდემაიერი (30), მერიონი (27), ნეში (15 ქულა, 15 პასი), ჯონსი (15)

**ნიუ იორკი 95:104 ნიუ ჯერსი**
**ნიუ იორკი:** ფრენსისი (26), კოლინზი (23 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ფრაი (18)
**ნიუ ჯერსი:** კარტერი (29 ქულა, 12 მოხსნა, 10 პასი), ნახბარი (19), ჯეფერსონი (15)

**მაიამი 89:91 ბოსტონი**
**მაიამი:** უილიამსი (16), კაპონო (16)
**ბოსტონი:** ვესტი (28), ჯეფერსონი (20 ქულა, 13 მოხსნა), რონდო (18)

**მემფისი 101:91 სან ანტონიო**
**მემფისი:** გასოლი (25 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), ეტკინსი (19), ჯონსი (16)
**სან ანტონიო:** პარკერი (17), ფინლი (17)

**დენვერი 122:107 მინესოტა**
**დენვერი:** აივერსონი (25), კლეიზა (23 ქულა, 10 მოხსნა), ენტონი (21), ილარიო (18)
**მინესოტა:** ფოი (19), რიდი (19)

**იუტა 130:93 პორტლენდი**
**იუტა:** ბუზერი (26 ქულა, 10 მოხსნა), გირიჩეკი (21), მილსაპი (16), ოქური (16)
**პორტლენდი:** აუთლოო (26)

**საკრამენტო 118:125 ნიუ ორლეანი**
**საკრამენტო:** არტესტი (27), ბიბი (17), გარსია (17), აბდურ-რაჰიმი (15)
**ნიუ ორლეანი:** ვესტი (25), პოლი (23 ქულა, 12 პასი), ჯექსონი (20), ბრაუნი (20)

# ნიუ ჯერსის კიდევ ერთი კიდი ჰყოლია

**ზაზა ფაჩულიას** და კიდევ არაერთი გამორჩეული კალათბურთელის გარეშე მოთამაშე „ატლანტა ჰოქსმა“ დაახლოებით თავისი გაქანების „მილუოკისაც“ ვერაფერი მოუხერხა და სეზონის დაისზე მორიგი მარცხი ჩაიწერა. ისე, არცერთ ამ გუნდთაგანისთვის არ ჰქონდა ამ შეხვედრას სასიცოცხლო მნიშვნელობა, რაკი პლეი ოფისთვის დავას ორივე კარგა ხნის წინ გამოეთიშა. მატჩს ერთადერთი ინტრიგა ახლდა — 2005 წლის დრაფტის პირველი და მეორე ნომრების, მილუოკელი ენდრიუ ბოგუტისა და ატლანტელი შელდენ უილიამსის დუელი, მაგრამ ესეც არ შედგა პირველის ტრავმის გამო. რაც შეეხება შელდენ უილიამსს, ის აგერ უკვე ორი წელია, „ატლანტაშია“, მაგრამ ჯერ დიდად ვერ გაამართლა მასზე ჩამოსული ფსონი, ძირითად ხუთეულში უჭირს ადგილის დამკვიდრება. ახლა ამ ნომინალურმა მძიმე ფორვარდმა ფაჩულიას კუთვნილი ცენტრის პოზიცია დაიკავა და 16 ქულას ორწლიან კარიერაში უმეტესი, 17 მოხსნა მოაყოლა, ოღონდ ფუჭი გამოდგა მისი გარჯა — „ატლანტამ“, როგორც უკვე მოგახსენეთ, წააგო.



ბოსტონელი ალ ჯეფერსონი „მაიამის“ ძლევას ხარობს

სამაგიეროდ, ინტრიგა და დაძაბულობა არ აკლდა ჰიუსტონში იქაური „როკიტსისა“ და ფინიქსური „სანზის“ ჯახს. მიუხედავად იმისა, რომ რეგულარულმა ჩემპიონატმა ორივე გუნდისთვის დაკარგა პრაქტიკული მნიშვნელობა („ფინიქსი“ ყველა შემთხვევაში მეორე ნომრად განითესება პლეი ოფში, „ჰიუსტონი“ კი — მეხუთედ), ბრძოლა მაინც გვარიანი გამოვიდა და მასპინძლებმა დრამატულ ბრძოლაში დასცეს ჩემპიონობის კანდიდატი ფინიქსელები. „ჰიუსტონის“ 203-სანტიმეტრიანმა ლიდერმა ტრეისი მაკგრეიდიმ სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, 39 ქულას 11 მოხსნა და 9 პასი მოაყოლა და სტივ ნეში და კომპანია იაო მინისა და მისი 34 ქულის დახმარებით კიდევ ერთხელ დაარწმუნა თავიანთ არაუძლეველობაში.

ჩემპიონობის კანდიდატთა მოკლე სიიდან ამოწერილმა „ნიუ ჯერსიმ“ სქელკიბიან, მაგრამ უკბილო მეზობელ „ნიუ იორკს“ აგრძნობინა, რაოდენ უსუსურია ეს უკანასკნელი. „ნიუ ჯერსის“ თანამედროვეობის უძლიერესი მეთრიფლდაბლე ჰყავს — ჯეისონ კიდი, მაგრამ ის ამ გუნდში არ გახლავთ ერთადერთი უნივერსალი, ქულებთან ერთად მოხსნა-პასების ბლომად ბოჭვა ვინს კარტერსაც შეუძლია. აგერ, ბატონო, „ნიუ იორკთან“ მან 24 ქულა, 12 მოხსნა და 10 პასი მოინაგრა.

**კოტე ყორშია**

# კვირის მოთამაშეები

## აღმოსავლეთი

**ბენ გორდონი (ჩიკაგო)**

## დასავლეთი

**ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი)**





გასული კვირის გამორჩეულ მოთამაშეებად ნბა-ში ჰიუსტონელი ტრეისი მაკგრეიდი და ჩიკაგოელი ბენ გორდონი დასახელდნენ. თუკი ამ უკანასკნელის საუკეთესოობა ცოტა ეჭვს ბადებს, მაკგრეიდისთან არავის არაფერი აქვს სადავო. 27 წლის ჰიუსტონელმა მსროლელ-ფრთამ კვირის განმავლობაში ჩატარებულ სამ თამაშში საშუალოდ 28,0 ქულა, 7,3 პასი, 6,7 მოხსნა და 3,0 ჩაჭრა აკეთა და „როკიტსს“ სამივე თამაში მოაგებინა. ამის წყალობით მისმა გუნდმა რეგულარულ ჩემპიონატში „იუტას“ გადაასწრო და პლეი ოფში მასთან მოედნის უპირატესობა დაიბევა.

სამი თამაშიდან ყველა მოიგო ბენ გორდონის „ჩიკაგომაც“ და აღმოსავლეთში მეორე ადგილზე დამკვიდრდა. გორდონის მაჩვენებლებია 24,3 ქულა და 4,7 პასი.

**კვირის სიმბოლური ხუთეული:** ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი), ბენ გორდონი (ჩიკაგო), ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი), ელტონ ბრენდი (კლიპერსი), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო).

## ფედერაციის თასი. ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფი

## ფინიკსი. მავრიკეთი. 17-20 აპრილი

### ჯგუფური ეტაპი

**B ჯგუფი. პირველი შეხვედრები**

საქართველო 1:0 ნორვეგია

1:0 ოქსანა კალაშნიკოვა — იდუნ ჰერტსბერგი 6:1 6:2

პორტუგალია 1:0 ბოსნია

**A ჯგუფი**

საბერძნეთი 1:0 ფინეთი



ოქსანა კალაშნიკოვა

# ანამ ანჯელას სოფო დაავიწყა

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალაბამას შტატის ქალაქ დოთენის თიხნარზე ITF-ს ეგიდით მიმდინარე 75-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე ანა ტატიშვილმა მესამე წრეში გააღწია და ერთი მოგებაც და ანა ძირითად ბადეში მოხვდება.

თანაც, ქართველმა ქართველის ჯავრი იყარა — 17 წლის ანამ რეიტინგში 207-ე ადგილზე მყოფ 22 წლის ამერიკელ ანჯელა ჰეინსს სამ სეტში — 4:6 6:4 6:2 მოუგო და ამ ჰეინსმა კი მანამდე სოფო მელიქიშვილი დაამარცხა.

ჰეინსი კვალიფიკანტთა შორის მეორე ნომრად იყო განთესილი. ძირითად ბადეში მოსახვედრ გადამწყვეტ შეხვედრაში კი ტატიშვილის მეტოქე მეექვსე განთესილი, არგენტინელი ბეტინა ხოზამია. ამ, 18 წლისა და კლასიფიკაციაში 238-ე ადგილზე მყოფმა ჩოგბურთელმა პირველ ორ წრეში, ჯერ ოდესღაც ვუნდერკინდად მიჩნეულ, კალათბურთის ლეგენდის, ჯულიუს ირვინგის უკანონო ქალიშვილს, ალექსანდრა სტივენსონს მოუგო, შემდეგ კი მეორე ამერიკელი ჯესიკა კირტლანდი დაამარცხა.

## მონტე კარლოს მასტერსი. კაცები. თიხნარი. საპრიზო 2 200 000 $

# სათავადოში თიხამ დარეკა



ტიმ ჰენმანი მონტე კარლოს პირველივე წრეში დაემშვიდობა

### პირველი წრე

დავიდ ფერერი (12, ესპანეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:3 6:1; ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) — ბენჟამინ ბალეჩე (მონაკო) 7:5 5:7 6:2; გასტონ გაუდიო (არგენტინა) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 5:7 6:2 6:2; იგორ ანდრეევი (რუსეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4 6:1; ნიკოლას მასუ (ჩილე) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 4:6 7:5 6:3; ხუან კარლოს ფერერო (16, ესპანეთი) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 7:5 6:2; რიშარ გასკე (11, საფრანგეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 7:5 6:7 7:6; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 7:6 7:5; რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — გაელ მონფილსი (საფრანგეთი) უარი; არნო კლემანი (საფრანგეთი) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 6:4 7:6; ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 6:2; ტომაშ ბერდიხი (10, ჩეხეთი) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 5:0 (უარი); მაქს მირნი (ბელარუსი) — მარკოს ბაღდატისი (14, კვიპროსი) 7:5 6:4; სერხიო როიტმანი (არგენტინა) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 3:6 6:1 6:4; რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:4 6:4; მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 7:5 5:7 7:5; ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:2 5:7 6:4; დავიდ ნალბანდიანი (9, არგენტინა) — ფედერიკო ლუცი (იტალია) 3:6 6:2 6:1; მარატ საფინი (რუსეთი) — იარკო ნიემინენი (15, ფინეთი) 5:7 6:3 6:2; კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 7:5 6:3; ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) — მარტინ ფერკერკი (ჰოლანდია) 7:5 6:2

### მეორე წრე

ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხ. კორეა) — მიხაილ იუჟნი (13, რუსეთი) 6:4 6:3; როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ანდრეას სეპი (იტალია) 7:6 7:6

ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ საგრუნტო სეზონი გახსნილია — პირველი სერიოზული სათიხნარო ტურნირი გუშინ ევროპის სათამაშო ბიზნესისა და აზარტის ცენტრ მონტე კარლოში დაიწყო. ეს წლის რიგით მესამე მასტერსი გახლავთ და რა გასაკვირია, რომ შემადგენლობაც წარმომადგენლობითია და საპრიზო ფონდიც ფრიად სოლიდური.

ერთი ეგაა, რომ მონაკოს სათავადოში ჩასვლას მოერიდნენ ბოლოს ამერიკელები — ენდი როდიკი და ჯეიმს ბლეიკი. ამ ორ იანკის თიხნარზე თამაში რომ არ უყვარს, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ მათგან ამ მასტერსის უგულებელყოფა მაინც გასაკვირია, რადგანაც მათი ტრავმების შესახებ არაფერია ცნობილი.

ტურნირმა მოთამაშეები პირველ სათამაშო დღესაც „დაკარგა“ — კორტზე გასვლა ვერ შეძლეს ვეტერანმა კარლოს მოიამ და ახალგაზრდა გაელ მონფილსმა, მაგრამ ყველაზე დიდი დანაკლისი მაინც ენდი მიურეის უარია, რომელსაც ძმასთან, ჯეიმისთან წყვილში თამაშისას ზურგი დაუზიანებია და ახლა მკურნალობა მოუწევს.

პირველი წრის მატჩებიდან კი რიშარ გასკესა და ფერნანდო ვერდასკოს ძალიან დაძაბული ჯახი გამოვყოთ, რომელიც ლამის სამი საათი გაიწელა, მაგრამ მაყურებელი მაინც ფრიად ნასიამოვნები დატოვა. ახალგაზრდა ფრანგმა მხოლოდ მეშვიდე მატჩ-პოინტზე შეძლო ესპანელის გატეხვა — არადა, საქმის მოთავება მეორე სეტშივე შეეძლო, როცა მოგების ხუთი შანსი გაანიავა. მესამე სეტის ბედიც საჩოგბურთო ლატარიაში გადაწყდა, სადაც გასკემ ბოლოს და ბოლოს დააყენა საშველი და გადამწყვეტი ქულა მაინც მოიპოვა, რითაც მეორე წრეში დომინიკ ჰრბატისთან პაემანი გაინაღდა.

პირველი მოულოდნელობა მარკოს ბაღდატისის გავარდნა იყო — შეიძლება, კვიპროსელი თიხნარზე ციდან ვარსკვლავებს არც წყვეტდეს, მაგრამ მაქს მირნისთან მაინც ფავორიტად ითვლებოდა. ამას არაფრით დაეთანხმა აყლაყუდა ბელარუსი, რომელმაც კუნძულელს ორ სეტში გამოუყვანა წირვა.

კიდევ ერთი განთესილი, რომელმაც თავჩაქინდრული დატოვა კორტი, იარკო ნიემინენი იყო. ოღონდ ეგაა, რომ ფინელი მარატ საფინს ეთამაშებოდა და მიუხედავად დღესდღეობით რეიტინგში უფრო მაღალი ადგილისა, სუომელი ფავორიტად მაინც არავის მიაჩნდა. საფინს კი ერთი სეტის წაგება დასჭირდა საკუთარი თამაშის საპოვნელად და როცა ეს მოახერხა, მერე ფინელისთვის შანსიც აღარ მიუცია.

გუშინ მეორე წრის შეხვედრებიც დაიწყო. კორტზე გასვლა მოუწია თვით როჯერ ფედერერსაც, რომელიც წლეულს „როლან გაროსს“ სერიოზულად უმიზნებს და ამიტომ მისთვის აუცილებელია მაქსიმალურად მეტი სათიხნარო პრაქტიკის მიღება. თუმც პირველ შეხვედრაში დიადი ალპელი ვერ იყო თავის იშტაზე, საკმაოდ სუსტად იჩოგნავა და ბლომად შეცდომებიც დაუშვა. მაგრამ „მხიარულმა როჯერმა“ თავისი მაინც გაიტანა და ორივე სეტში ტაი ბრეიკზე იყოჩაღა — გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ.

**ბაჩა ლომჯარიძე**



## პლეი ოფი. პირველი წრე

## აღმოსავლეთი

### ბუფალო 2:1 აილენდერსი

**მესამე მატჩი**

აილენდერსი 2:3 ბუფალო

*0:0 2:3 0:0*

0:1 მერი (26, დრური, ტალინდერი), 0:2 ვანეკი (29, როი, აფინოგენოვი), 1:2 ჰანტერი (30, სმიტი, ვაიტი), 1:3 ბრიარი (33, უმრ. კონოლი, ზუბრუსი), 2:3 სმიტი (40, რობიტაილი)

### ნიუ ჯერსი 1:2 ტამპა

**მესამე მატჩი**

ტამპა 3:2 ნიუ ჯერსი

*1:0 0:1 2:1*

1:0 ლეკავალიე (10, უმრ. სენ ლუი, რიჩარდსი),
1:1 მედენი (38, ბრილინი, ლუკოვიჩი), 2:1 რიჩარდსი (42, სენ ლუი, კუბა),
2:2 პარიზე (45, ზაიევი, ლანგენბრუნერი), 3:2 პროსპალი (54, ლეკავალიე, სენ ლუი)

## დასავლეთი

### ნეშვილი 1:2 სან ხოსე

**მესამე მატჩი**

სან ხოსე 3:1 ნეშვილი

*0:1 2:0 1:0*

0:1 სუტერი (12, ლეგვანდი, დიუმონი), 1:1 მიხალეკი (29, რივე, ტორნტონი),
2:1 კლოუ (33, კარლი, ერჰოფი), 3:1 მარლო (56, გერინი)



# მარტივი ტაქტიკა: დაარტყი კარში და ბროდო შეცდება

„უბრალოდ, კარში ნებისმიერი პოზიციიდან ურტყამენ, იქნებ გაგვიმართლოს და შაიბა კარში შევარდესო — მათაც უმართლებთ, არადა, არც ერთ გამარჯვებას არ იმსახურებდნენ“ — ეს სიტყვები „ნიუ ჯერსის“ კარის დარაჯ მარტინ ბროდოს ეკუთვნის, რომელიც მეტოქე „ტამპას“ ტაქტიკით აშკარად უკმაყოფილოა.

რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი კრიტიკის ხასიათზე კი დამდგარა, მაგრამ დღეისთვის აშკარა ფავორიტად მიჩნეული „ეშმაკები“ სერიას რომ აგებენ, დიდწილად სწორედ ბროდოს „დამსახურებაა“, რადგანაც ზედიზედ მეორე მატჩია, ძალიან იოლ შაიბებს უშვებს და გუნდის წვალებას ქარს ატანს. ამის საპირისპიროდ, დიდებულად ირჯება პლეი ოფში პირველად მოთამაშე იუჰან ჰოლმკვისტი, რომელიც ლამისაა, გაუვალ კედლად იქცეს „ნიუ ჯერსის“ თავდასხმისთვის. თანაც, „ეშმაკები“ ჯერჯერობით ვერაფერს უხერხებენ „ტამპას“ დამრტყმელ ტრიოს — ვენსან ლეკავალიეს, მარტინ სენ ლუისა და ბრედ რიჩარდსის შემადგენლობით და „ელვების“ წარმატების მიზეზსაც მიხვდებით. განსაკუთრებით რიჩარდსი გამოვყოთ, რომელიც ზედიზედ მე-12 საპლეიფო მატჩია, ყინულს ქულების გარეშე არ ტოვებს. ეს სერია ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყო და ამ პერიოდში ფლორიდელთა 19-მა ნომერმა ამდენივე ქულა (7+12) მოიხვეჭა.

„ბუფალომ“ კი მეორე მატჩის ჩაგდების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა და გუშინდელი მოგებით მოედნის უპირატესობა დაიბრუნა. დიდებულად ითამაშა „ხმლების“ მეკარე რაიან მილერმა, რომელიც თავის კარებს ყველანაირად იცავდა — ორ მომენტში კი შაიბა სულაც თავით მოიგერია.

„ან თავი უნდა დამეხვედრებინა შაიბისთვის, ან გოლი უნდა გამეშვა“ — ასე მარტივად ახსნა თავისი თავგანწირვის მიზეზი მილერმა.

როგორც იქნა, გაიღვიძეს „ბუფალოს“ თავდასხმელებმა. თუ კრის დრურის არ ჩავთვლით, აქამდე ლიგის უმძლავრესი წინა ხაზი ჩუმად იყო, მაგრამ გუშინ დანიელ ბრიარმა, ტომაშ ვანეკმა და ადამ მერმა ამ პლეი ოფში პირველად დასჭექეს, რაც იმას ნიშნავს, რომ „აილენდერსს“ ამიერიდან კიდევ უფრო უნდა გაუჭირდეს.

„სან ხოსე“ კი ჯერჯერობით შარშანდელი გრაფიკით მიდის და „ნეშვილს“ საკმაოდ იოლად უმკლავდება. ისე, ბარი ტროცი თავის „მტაცებლებს“ თუ არ მოთოკავს და უფრო დისციპლინირებულ ჰოკეის არ ათამაშებს, ტენესის წარმომადგენლებს სერიის სათავისოდ შემობრუნების მიზერული შანსიც არ ექნებათ. მართალია, „ნეშვილის“ მოთამაშეები ამჯერად მოეშვნენ „სან ხოსეს“ თავდასხმელებზე ნადირობას, მაგრამ უაზრო ჯარიმებს მაინც ვერ აარიდეს თავი და საჯარიმო სკამზე მეტოქეზე ოთხჯერ მეტხანს დაჰყვეს, რამაც გუნდი წელში გატეხა.

**ბაჩა ლომჯარიძე**

# პირველი პირქარი ბოსტონში




კიპკოეჩ ჩერიოტი

AFP ბოსტონიდან

**გასული** უქმეები სამძლეოსნო სამყაროში მარათონისა იყო. ამ უგრძელეს დისტანციაზე ერთბაშად ხუთ ქალაქში ირბინა ათიათასობით ქალმა თუ კაცმა. პარიზული მარათონის ამბავი გუშინ მოგახსენეთ. ბოსტონის ასევე უპრესტიჟულესი მარათონის ამბავი დღეს ვთქვათ, ხოლო როტერდამის, ნაგანოსა და ტურინის გარბენები, რაკი ნაკლებპრესტიჟულია, მხოლოდ მოვიხსენიოთ.

15 აპრილს ატლანტიკისპირა ბოსტონს ნამდვილი შტორმი დაატეხა ოკეანემ — სამარათონედ გამზადებულ, ზედ სანაპიროზე გაწოლილ გზებს გვარიანადაც დაატყო თავისი მძუსვრელი ხელი, მიუნაგვიან-მიუბინძურა სარბენი ასფალტი და ალაგ-ალაგ მიუნგრია კიდეც. რბენა კი ერთი დღის შემდეგ იყო დანიშნული და მიუხედავად იმისა, რომ ბოსტონელებმა გზა მოასუფთავეს, იგი ბოლომდე არჩამდგარი ავდრის გადამკიდე მაინც უგემური გამოვიდა. ცუდი ტაროსი შედეგებსაც დაეტყო — 111 წელია, ბოსტონში ეს მარათონი ტარდება და არც ქალებში და არც კაცებში ასე დაბალი შედეგი კარგა ხანია აღარ ყოფილა.

მორბენლებს ქარი პირდაპირ სახეში სცემდათ. „არც ერთ მორბენალს არ უყვარს წვიმა და განსაკუთრებით პირქარი — ჩიოდა ლატვიელი მორბენალი ქალი ელენა პროკუპჩუკა, ვისაც ერთი წლის წინ ბოსტონში მეორე ადგილი დაუკავებია და ორჯერ ნიუ იორკის მარათონი მოუგია — ვცდილობდი, რომ სიჩქარე ამეკრიფა, მაგრამ არავინ დამიჭირა მხარი. სასტიკად იმედგაცრუებული ვიყავი. იძულებული გავხდი, სულ მარტოს მერბინა ამ საზიზღარ ამინდში".

პროკუპჩუკა ქალებში ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტი იყო და კარგადაც ირბინა, მაგრამ, შარშანდელის დარად, ახლაც მხოლოდ მეორე ადგილი შეხვდა. მას რუმა ქალმა ლიდია გრიგორიევამ გაასწრო, რომელმაც 42,125 კილომეტრი 2 საათში, 29 წუთსა და 18 წამში დაფარა. მართლაც დიდი ვერაფერი შედეგია ასეთი მძლავრი მონაწილეობით გაძეძგილი მარათონისთვის.

როგორც მოგახსენეთ, ვერც კაცებში დაფიქსირდა კარგი შედეგები. კაცებში, თავისთავად ცხადია, რუსები, ლატვიელები და საერთოდ თეთრკანიანები ასე ვერც იყოჩაღებდნენ, როგორც ქალები. მამრთა შორის მჯობნს არკვევდნენ კენიელები და ეთიოპიელები. აქ უდაძაბულესი შეჯიბრება გაჩაღდა და საუკეთესო ეთიოპიელს, ტეფესი ვოდაიოს, მხოლოდ მეხუთე ადგილი შეხვდა. მის წინ კი ნებივრად განთავსდა კენიური ოთხეული. 2:14.13 შედეგით საუკეთესო იყო მძლავრი მარათონელი რობერტ კიპკოეჩ ჩერიოტი, რომელმაც სულ რაღაც 20 წამით აჯობა თანამემამულე ჯეიმს კვამბაის, ამას თავის მხრივ 14 წამით ჩამორჩა კიოგორა, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს რბენის დრამატულობაზე. მოკლედ, ამით მაინთ ისიამოვნა ცუდი ამინდით შეწუხებულმა, მაგრამ გზებზე მაინც უხვად გამოფენილმა ბოსტონურმა პუბლიკამ.

დასასრულ კი ვთქვათ, რომ გამარჯვებულებმა — ჩერიოტმაც და გრიგორიევმაც — 100-100 ათასი დოლარი ჩაიჯიბეს.

**ქოტე ყორშია**



# მარათონი კოსმოსში

**ამერიკელი** სუნიტა უილიამსი ასტრონავტი გახლავთ. ახლაც კოსმოსშია, საერთაშორისო ორბიტალურ სადგურში. მისს უილიამსი თავისთავად ჯანმრთელი ქალია და სირბილიც კარგად ეხერხება. ჰოდა, გადაუწყვეტია, ბოსტონის მარათონში უნდა მიეღო მონაწილეობა. კოსმოსური თაროდან ტრენაჟორი ჩამოუღია და რაწამს ბოსტონში განთქმული მარათონი დაწყებულა, მასაც დაუწყია ამ ტრენაჟორზე სირბილი. აი, შეგედისა რა მოგახსენოთ, კოსმოსში სირბილი ვერაა მთლად მოხერხებული და ამერიკელ ასტრონავტსაც 42 კილომეტრი 4 საათსა და 23 წუთში დაუფარავს, რაც გვარიანად ჩამორჩება ბოსტონში გამარჯვებული რუსი გრიგორიევას შედეგს.



# ბიჭები პატარა ქუჩიდან

რუბრიკას წარმოგიდგენთ

**Mobil 1**

**№ 1 საავტომობილო ზეთი**




მეორე რბოლის პოდიუმი:
ტიმო გლოკი, ნიკოლა ლაპიერი და ლუკა ფილიპი

**სპარსეთის** ყურეში მდებარე კუნძულ ბაჰრეინის ავტოდრომზე სტარტი აიღო „პატარა" ფორმულის, GP2-ის ჩემპიონატმა, რომელშიც 13 გუნდის 26 მრბოლი მონაწილეობს.

ყველანი იდენტური, იტალიური „დალარას" ფირმის მანქანებით გამოდიან, რომლებსაც „რენოს" 600 ცხენისძალიანი ძრავები უდგათ. ამდენად, ახალგაზრდა მძღოლები ერთნაირ პირობებში არიან და ოსტატობა აქ უფრო ნათლად ვლინდება, ვიდრე ფორმულა 1-ში.

„გრან პრი 2" სამეფო რბოლებისთვის კადრების სამჭედლოდ ითვლება. სამაგალითოდ 2005 წლის ჩემპიონ ნიკო როსბერგისა და შარშანდელ გამარჯვებულ ლუის ჰემილტონის დასახელებაც კმარა, რომლებიც წარმატებით დაჯირითობენ „დიდ" ფორმულაში. იმავდროულად, „სამჭედლოს" წლევანდელ ქარავანში ოთხი მრბოლია, რომელთაც საპირველფორმულო გამოცდილება აქვთ — გერმანელი ტიმო გლოკი, იტალიელი ჯორჯო პანტანო, ბრაზილიელი ანტონიო პიცონია და იაპონელი საკონ იამამოტო.

სულ 11 ეტაპი ჩატარდება და პილოტებიც თითოეულ ეტაპზე ორ-ორჯერ გაირბოლებენ.

ჯუჯა სამეფოს დედაქალაქ მანამას მახლობლად, უდაბნოში გაყვანილ „საპირის" ხუთკილომეტრიან ტრეკზე პირველი, 33-წრიანი გაჯიბრება „სუპერ ნოვას" იტალიელმა ლუკა ფილიპიმ მოიგო, მეორე და მესამე ადგილები „ინტერნეშენელ სპორტის" მრბოლებმა გლოკმა და ალექს ცუბერმა დაიკავეს, მეოთხე იყო ბრუნო სენა — ლეგენდარული „ჯადოქრის" აირტონ სენას დისშვილი.

მეორე, „სპრინტერული" რბოლა ათი წრით დამოკლდა, ხოლო წინა ტურის რვა საუკეთესო სტარტზე რევერსულად განლაგდა, ანუ ფილიპი მერვე იდგა, გლოკი — მეშვიდე...

წარმატება ამჯერად პირველ რბოლაში მეშვიდე ადგილზე გასულ ფრანგ ნიკოლა ლაპიერს („DAMS") ხვდა, მეორე ამჯერადაც გლოკი იყო, მესამე — ფილიპი. იყოჩაღა სენამაც, რომელსაც სასტარტო დიდ შეხლა-შემოხლაში ბოლიდი დაუზიანდა და შერემონტების შემდეგ ყველაზე უკან, 22-ე აღმოჩნდა, თუმც საბოლოოდ ფინიშთან მერვე მივიდა.

ორი ცდის ჯამში 16 ქულით ფილიპი დაწინაურდა, გლოკი მას ორი პუნქტით ჩამორჩება, ლაპიერი მესამეა, სენა — მეხუთე.

**გია ახალაძე**



IRB UNDER 19 WORLD CHAMPIONSHIP IRELAND 2007

19-წლამდელთა მსოფლიოს თასი

ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია

**B ჯგუფი. ნახევარფინალი**
**საქართველო 3:19 კანადა**

# ელიტის კარი კანადამ დაგვიკეტა

**ბელფასტში** მიმდინარე 19-წლამდელთა მსოფლიოს თასი საქართველოს ნაკრებისთვის პრაქტიკულად დასრულდა. ჩვენმა ჭაბუკებმა B დივიზიონის ნახევარფინალი 3:19 წააგეს კანადასთან და ახლა ნუგეშად მე-3 ადგილისთვის ბრძოლაღა დარჩათ. ამ წაგებით ქართველები ვერ გავიდნენ B დივიზიონის ფინალში და ელიტაში დაწინაურება მინიმუმ საგაისოდ გადადეს.

მეორე ნახევარფინალში იტალიამ იოლად 31:6 მოუგო აშშ-ს და ფინალში კანადას შეხვდება. ელიტაში მხოლოდ B დივიზიონის გამარჯვებული გადადის.

**ბაჩო სვანიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge